

K 1814  
1a

სოლომონ კარძივილი

— ადამ —

გურიასინე  
ქალაქის დარბაზის მემკვიდრეობის

„სხესადგენ განათლების“ გამოცემა  
თბილისი 1947

K 12/14  
1/2

შ. კ. 2019-17622.

ს მ ა მ ა რ ი 6 0 1 0 8 8 0 3 0

371(47.922)1092

32546

# გერასიმე ქალანდარიშვილი

(მონოგრაფია)



გაზეთ „სახალხო განათლების“ გამოცემა

თბილისი—1947

## გერასიმე კარანდაგიშვილი

### I

ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლებისა და სწავლა-  
აღზრდის ასპარეზზე გერასიმე კალანდარიშვილი ია  
კრძალვით მოკიაფე სანთელია, რომელიც მძლავრი  
წვისაგან ადრე დაიღვენთა, მაგრამ მისი შუქი დღემდე  
მოღწეული და იმგვარადაც, რომ განსაკუთრებულ ყუ-  
რადღებასა და პატივისცემას იმსახურებს.

ის იყო, უწინარეს ყოვლისა, ერთ-ერთი ნიჭიერი, და  
ღირსეული პირმშო გისული საუკუნის სამოციან წლებ-  
ში აღორძინებული აზროვნებისა, ის იყო აღმზრდელი  
და მასწავლებელი, რომელმაც იყისრა სათანადო ნიადა-  
გის მომზადება ამ უკვე აღორძინებაში შესული აზროვ-  
ნების შემდგომი განვითარებისათვის.

ის იყო თავის დროისათვის განათლებული პედაგო-  
გი, საზოგადო მოღვაწე, თავგამოდებით მზრუნველი  
ახალი თაობის აღზრდისათვის და ეროვნული სახალხო  
სკოლის მშენებელი, რამდენადაც ეს შეიძლებოდა ან  
ჭერხდებოდა იმ პერიოდში.

ის იყო თავის მოსწავლეთათვის საყვარელი მასწავ-  
ლებელი და აღმზრდელ-დამრიგებელი, რომლის ყოვე-

ლი სიტყვა და ხაშე, უბრალო აღამითნური ქცევა მოქალა შეთა ცხოვრებული და მოშედების საჩიტო ზე სანი-  
მუშო და მისაბაძი გამხდარა. გერასიმეს ერთ-ერთი ნი-  
კიერი შოწაფე კილევაც წერს თავის დარღულში: „მე  
სულით და გულით მსუსს ყველაფერში მიებაძო მას,  
ვემსგაესო მას და დავადგე იმ გზა-კვალს, რომელზედაც  
იდგა გერასიმე კალანდარიშვილი“.<sup>1</sup>

ეს სახელი საქართველოს სახელხო განათლების ის-  
ტორიის შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ  
შესამჩნევ კაბალონს ამშვერებს.

---

<sup>1</sup> ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, თონა შეუ-  
ნარგიას დღიურები, 1874 წ. 9 თებერვალი.

II

გერასიმე სიმონის-ძე კალანდარიშვილი დაიბადა 1836 წლის 16 (4) მარტს სოფ. ნიგოითში—გურიაში, რომელიც მაშინ მთლიანად ერთს, ოზურგეთის მაზრას შეაღენდა. ნიგოითი ამჟამად ლანჩხეთის რაიონში შედის და ერთ-ერთ მოწინავე სოფლად ითვლება. გერასიმეს დაბადების წლებში კი ამ სოფელს არავთარი კულტურული წამოწყება და არც არავთარი სკოლა არ გააჩნდა. ნიგოითს კი არა, იმ ზანებში მთელ გურიაში არ არსებოւლა არც ერთი ტიპის საერო ან სასულიერო სასწავლებელი. ამიტომ, როგორც თითქმის ყველა იმდროინდელ ამ მხარის ქართულ მოღვაწეს, გერასიმესაც შინ უხდებოდა წერა-კითხვის შესწავლა, მამის „უამნისა“ და „დავითნის“ საშუალებით, ცხადია, ჯერ ხუცურისა და უფრო გვიან კი—მხედრულისა, რადგან სასწავლო სახელმძღვანელოები ძნელი საშოვარი იყო, თუ არა ისევ ზარის ბეჭი და შინაური მიწერ-მოწერა.

გერასიმეს მამას, წვრილშვილიანსა და სოფლის ღარიბ, თითქმის მცირემცოდნე მღვდელს, იმდენი სურვილი, მონდომება, ღონე და სახსარი გაჰყოლია, რომ ნიკიერი და ბეჯითად მეცადინე შვილი „სწავლას ძირიდან კენწეროშედე“ ასდევნებოდა. ამიტომ, რაკი გურიაში არც ერთი სკოლა არ იყო, მას საქართველოს სხვა როგორიმე კუთხეში უნდა მოეძებნა იგი.

დასავლეთ საქართველოში იმ ღროს საერო სკოლა  
მართლაც არსად ყოფილა, მაგრამ „აღსაზრდელად სა-  
სულიეროთა ყრმათა“ მხოლოდ სამეცნიელოში, ქუთაის-  
სა და რაჭაში არსებულა ე.წ. „მაზრის სამრევლო სასუ-  
ლიერო სასწავლებლები“, რომლებიც თბილისის სასუ-  
ლიერო სემინარიაზე ყოფილან მიწერილნი, როგორც  
საქართველოს დანარჩენ პროვინციებში (თელავში, სიღ-  
ნალში) არსებული ამ ტიპის სკოლები.

ჰატარა გერასამშე, თავის ძმებთან ერთად, ხდება მოს-  
წავლედ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა, რომ-  
ლის კურსის წარჩინებით შესრულების შემდეგ თბილი-  
სის სასულიერო სემინარიაში გადაიდა. მაგრამ მას უ-  
ლი უფრო ფართო ასპარეზზე მიუწევდა, ის თავისთავ-  
ში გრძნობდა ძალას, რომელიც სოფლის მღვდლის მო-  
ვალეობაში ვერ თავსდებოდა და ამიტომ სემინარიის  
კურსსაც უერ კმარიბდა... და მართლაც, როგორც წარ-  
ჩინებული და ბეჯითი მოსწავლე, ის ახერხებს შესვლას  
კიევის სასულიერო აკადემიაში.

კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული,  
25 წლის ახალგაზრდა გერასიმე კალანდარიშვილი, „1861  
წელს დაინიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის  
ზედამხედველად“. <sup>1</sup> და ამ დღიდან იწყება ახალი ხანა  
როგორც პირადად გერასიმეს, ისე ამ სასწავლებლის მან-  
წავლებელთა და მოსწავლეთა ცხოვრებაში. როგორც გაჩ.  
„ღროება“ აღნიშნავდა, ის „ნიადაგ იშის ზრუნვაში იყო,  
რომ სასწავლებლისათვის რაიმე წარმატება მიეცა“, <sup>2</sup>

<sup>1</sup> „ღროება“, 1874, № 411.

<sup>2</sup> იქვე.

ნორმალური პირობები შეექმნა როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთათვის და სასწავლებლის ავტორიტეტი აემაღლებინა მით, რომ საბოლოოდ დაეთრგუნა სწავლების მანამდე არსებული რეჟიმი, რომელიც მოსწავლეთა ფიზიკურ დასჯაზე—ცემა-ტყეპაზე იყო დამყარებული.

### III

თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები გ. კალანდარიშვილის მისვლამდე, ე. ი. 1861 წლამდე და შეშძეგაც, ამის შესახებ თვითონვე აღნიშნავს ის ერთს თავის პოლემიკურ წერილში:

„ვინ არ იცის, რომ სწავლა მარტო მასწავლებელზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ბევრგვარ სხვა პირობებზედაც. საჭმე შორს წავა და არც საჭიროა, რომ ყველა პირობებზე ვილაპარაკო... შევხედოთ მაგალითად ამ სასწავლებლის მოსწავლეთა ცხოვრებას. წარმოიდგინეთ,—განაგრძობს ის, — ვისაც არ გინახავთ, ქალაქის გარეთ, მთაზე სასწავლებელი და იმის ახლოს და შორს, აქა-იქ კლდეებზე და ფერდობებზე გაფანტული პატარა, ხის ქოხები, შეულესავი, ფარლალალებიანი კედლებით, უფანჯრო, ტალახიანი მიწის იატაკით,—რომელშიაც სტოლის, სკაშის, კრავატის და სხვა მებელის მაგივრობას რამდენიმე ფიცრები ასრულებენ.

თითქმის უმეტესი ნაწილი მოსწავლეებისა ამისთანა სახლებში დგანან... მჭადი და ლობიო მათი უმთავრესი საზრდოა. ხორცეული არა თუ უბრალო დღეებში, კვირაობით და დღესასწაულობითაც ძალიან იშვიათად აქვთ. მოსამსახურეები მათ არა ჰყავთ. ამისთვის შეშა-

ზე, წყალზე და საჭმლის მომზადებაზედ, ე. ი. მჭადის-გამოცხობაზედ და ლობიოს მოხარშვაზე, თვითონ უნდა იზრუნონ; შაგრამ როდის, დილის 8 საათიდან ნაშუაღ-ლევის პირველსა და შესამე საათამდე კლასში არიან. კლასიდან რომ გამოდიან, ისინი სჭამენ სადილს — წინა დღეს გამომუხვარს ციი მჭადს და ლობიოს; შერმე ფიჩ-ხის და წყლის მოტანას, ვახშმისა და მეორე დღისათვის სადილის კეთებას უნდებიან; საჭმელს ამზადებენ ქოხის შუაგულს ანთებულს ცეცხლზე, რომელიც უმეტეს ნაწილად სანთლის მაგიერობასაც შერება წიგნის კითხვის დროს.

ზოგი შოწაფეები აქაურს ღარიბ მცხოვრებლებთან ბინადრობენ, მაგრამ თითქმის იმავე გაჭირვებით, ბნელს, უფანჯრო, უბუხრო და უმებელო სახლებში; — აი უმეტესი ნაწილი მოსწავლეების ცხოვრება; ამისთანა გაჭირვებული ბავშვები მეტად ხშირად ავად ხდებიან და რაღ-განაც არც მოვლა და არც რიგიანი საჭმელი აქეთ, უბრა-ლო სწერულებაც საშინლად უძნელდებათ... მე არ ვამ-ბობ თუ რა ნაკლულეგანება<sup>1</sup> აქვთ მათ ტანისამოსისა, ქვეშაგებისა, წიგნებისა და სხვა უსაჭიროესი ნივთე-ბისა, ეს ხომ ახალი ამბავი არ არის”...<sup>1</sup>

ამას წერდა ის აშ სასწავლებელში 10 წლის მუშაობის შემდეგ, როცა მთელი ამ ხნის განმავლობაში დაუცხრო-მელი ენერგიით მოქმედებდა როგორც მასწავლებელი, დამრიგებელი და ზედამხედველი, რომელიც ცდილობდა თავისი ზრუნვა რითიმე დასჩენოდა სასწავლებლის არა მარტო შინაურს წყობას, დისციპლინასა და სწავლა-აღ-

<sup>1</sup> „მნისთობი“, 1870, № 1.

ზრდის საკითხებს, არამედ სკოლის გარეშე ცხოვრება-  
საც იმ შეგირდებისას, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა  
გამო „ბურსაში“ გერ შოუპოვებიათ აღვილი და თავშე-  
საფარი.

წოლო ოუ რა პირობებში მიმდინარეობდა, ან რა დო-  
ნეზე იდგა გერასიშე კალანდარიშვილის დანიშნამდე-  
ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა-აღზრ-  
დის საქმე, ამაზე მშენიერად მოგვითხრობს ამავე სკო-  
ლის მაშინდელი მოსწავლე—სასწავლებლის „ბურსაში“  
მცხოვრები და შემდეგ ცნობილი პედაგოგი და საზოგა-  
დო მოღვაწე გიორგი იოსელიანი (1847-1919).

„მე ვსწავლობდი ქუთაისის ოთხელასიან. სასულიერო  
სასწავლებელში იმ დროს, როცა იმერეთის ეპარქიის.  
ეპისკოპოსად იყო გერმანე, — წერს იოსელიანი (წყალ-  
ტუბელი). ეს სწორედ ის დრო იყო, როცა თითქმის ყვე-  
ლა სკოლაში ფიზიკურ დასჯას პირველი აღგილი ეჭირა.  
სწავლა-აღზრდის საქმეში. ეპისკოპოსის სადგომი ისე ახ-  
ლოს იყო ჩვენი სკოლის ნახევრად დანგრეულ შენობას-  
თან, რომ მღვდელ-მთავარს და. სხვებსაც ძლიერ კარგად  
ესმოდათ ბროწეულის წკეპლებით ნაცემი ყმაშვილების  
წივილ-კივილი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცეულა;  
რადგან ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ.

სკოლის შენობის ქვემო სართულში მოთავსებული  
იყო ესრედ წოდებული ბურსი, სადაც ინახავდნენ  
მღვდლების ობოლ შვილებს. ბურსაში სუფევდა გამო-  
ჭოქმელი სიღარიბე და უსუფთაობა და ამიტომაც ხში-  
რად ჩნდებოდა ყოველგვარი გადაშედები სწეულება, რო-  
მელთა მსხვერპლად ხდებოდა გარედან მოსიარულე შე-  
გირდებიც, სწავლა-აღზრდას არავინ ყურადღებას არ.

აქცევდა და აშიტომაც, რასაკუირველია, ძლიერ ცუდ  
მდგომარეობაში იყო. ზოგიერთ მასწავლებლებს კლას-  
ში, განსაკუთრებით სალამოს გაკვეთილებზე, გულდა-  
გულებინათ მაგიდაზე ოდაყვებზე დაბჯენილებს და ამ  
დროს შეგირდები სულგანაბული ისხდნენ, მინამ ზარის  
რეკა არ გაისმოდა და გაკვეთილი არ ფათავდებოდა!“<sup>1</sup>

ამას დაემატება, როგორც თვითონ კალანდარიშვილი  
აღნიშნავს, საერთო სივიწროვე და მოუწყობლობა სას-  
წავლებლის ბინისა, მასწავლებლის ხელფასის სიმცირე,  
რაც იწვევდა ხშირად საქმისათვის მოუმზადებელი მას-  
წავლებლის გამოყენებასაც და სხვ. ამ „გარემოებაში,  
—შერს გ. კალანდარიშვილი, — გასაკვირველი არ იყო,  
რომ მოსწავლეები უმეტეს ნაწილად 2 და 3 წელიწადს  
რჩებოდნენ თითო კლასში და ზოგიც 4 წელიწადს“.

აი როგორი ატმოსფერო, მუშაობის რა პირობები და  
ნიადაგი დახვდა მაშინდელს რუსეთში განათლებამიღე-  
ბულ აკადემიელ გ. კალანდარიშვილს ქუთაისის სასუ-  
ლიერო სასწავლებელში 1861<sup>1</sup> წელს. მას, პედაგოგიკის  
ახალი იდეებისა და სწავლების საქმის ნიჭიერ წარ-  
მომადგენელს სამოციანი წლების საქართველოში, სა-  
უა ყოველი ახალგაზრდა, ვისაც კი რაიმე განათლების  
ნაშუში გულს ჩასწორენია, სამშობლოს მსახურების შეგ-  
ნებაშიც ასულა, —არ შეეძლო გულგრილი მაყურებელი  
ან ჩინოვნიკურ აღმასრულებელი ყოფილიყო ყოველივე  
ქველისა და ტრადიციით დაკანონებულისა. მით უმე-  
ტეს მისი საქმიანობა, სამოქმედო უბანი იყო სახალხო  
განათლება, მომზადება და აღზრდა მომავალი თაობისა,

<sup>1</sup> მელ. კელენჯერაძე—„გაბრიელ ეპისკოპოსი“—გვ. 105—6.

რომელსაც ევალებოდა უკეთესი მერმისის შექმნა და  
განხორციელება ჩვენს ქვეყანაში.

ეს ის დრო იყო, როდესაც ეპროპასა თუ რუსეთში გა-  
ნათლებული ზოგიერთი ქართველი საასპარეზოდ ემზა-  
დებოდა. ნორჩი, ახალი ძალა უკვე მზადებაში იყო აშ-  
კარად დაპირისპირებოდა ძეველს, უკეთ საკმაოდ დახავ-  
სებულსა და დაჭაობებულს ცხოვრებას, რომელსაც ილია  
ჭავჭავაძე გუბეს ეძახდა. პირველად ხოშ ამ გუბეში აღ-  
მოაჩინა მან ლუარსაბ თათქარიძე და მისი მსგავსნი  
ცხოველები, რომელნიც ამ ცხოვრების წინამძღოლობა-  
სა და მის საბოლოოდ შენარჩუნებას ჩემულობდნენ.  
მაგრამ მწერლის გაშლილმა ბადემ ისინი ნაპირებზე გა-  
ათრია და ამით „ცხოვრების მყუდროება“ დაარღვია. სა-  
მოციანი წლების სიო თანდათან ძლიერდებოდა. ილია  
ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საუკეთესო, პატრიო-  
ტული და მოწინავე იდეებით გაედენთილი ლექსები  
(„მუშა“, „პოეტი“, „ქართველ სტუდენტთა სიმღერა“,  
„ქართვლის დედა“, „კაქო ყაჩალი“, „სალაშური“, „მუ-  
შური“ და სხვ.) ზოგი დაწერილი იყო და ზოგიც იწერე-  
ბოდა. ილიას „მგზავრის წერილების“ იდეები ყალიბობის-  
პროცესში იყო და კიდევ უფრო გამჭელულად შეიძლე-  
ბოდა მხილება იმისა, რომ „მძიმე საცხოვრებელი იყო  
ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის, იმ კაცისათვის,  
რომელიც თავის-თავის გარეითად, სხვაზედაცა ფიქ-  
რობს, სხვაზედაცა სწორს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშ-  
ლის, სულ ვერ მოიბრუნებს. შევა დიდკაცის სახლში,  
თუ თვითონ დიდი კაცია—პატივი აქვს, ე. ი. კანონიერად  
გაუღიმებენ, კანონიერად ხელს ჩამოართმევენ. თუ პა-  
ტარა კაცია, მაშინ წელს გაუშინჯავენ, კარგად ოგრისე-

ბა თუ არა: თავი მზეუჭვრიტისა აქცს თუ არა: როგორც  
მზეუჭვრიტა შზისკენ მიბრუნდება, ისე თავიც იმისაც უ  
უნდა მიბრუნდეს, ვინც ორი თუ სამი სტრიქონით თა-  
ვად-აზნაურობის სიაში წინ არის მოხსენებული“<sup>1</sup> —  
წერდა ილია ჭავჭავაძე 1862 წელს.

ეს სწორედ ის წელიწადი იყო, როცა გერასიმე კა-  
ლანდარიშვილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში  
დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში იმ დროს იმ  
ერთ-ერთ უფართოეს სასწავლო დაწესებულებაში, — რო-  
გორც ამას ი. გოგებაშვილი იტყოდა, — თავის არის წლის  
მუშაობას აჯამებდა და შემდგომი მუშაობის უფრო რა-  
დიყალურ გეგმებს სახავდა. მას, გარდა იმისა, რომ ფრ-  
თო მომზადება და უმაღლესი განათლება ვაძნდა, იქ  
სარბიელზე ენერგიული მოქმედებისათვის ზურგს უმაფ-  
რებდა და გამბედაობას აძლევდა ის მოწინავე იდეაზე  
და ახალი განწყობილებანი, რომელთაც ის ცუა ღაწაფე-  
ბული რუსეთში სწავლის მიღების დროს სხვა მას თ-  
ნამედროვე დიდ ქართველებთან ერთად, რომელიც  
ჩვენში „თერგდალეულებად“ არიან ცნობილნი.

გამოჩენილი პედაგოგები გერასიმე კალანდარიშვილი,  
იაკობ გოგებაშვილი და სხვა შათი მიმდევარი მოწინავე  
მასწავლებლები ისეთივე ნოვატორნი და რეფორმატ-  
ორები იყვნენ ქართული პედაგოგიკისა და სახალხო გა-  
ნათლების საქმეში, როგორიც — „თერგდალეულებად“  
ახალს ქართულ მწერლობაში. მაინ მოქმედება ემსახულ-  
ოდა ერთშენეთს არა მარტო ეპოქალურად, არამედ ში-  
ნაარსობრივად და იდეურადაც. ქვეყნის მჟღისცემის გა-  
ნახლება, ხალხის გამოღვიძება, გათვითცნობიერება და

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 631, 1941 წ.

განათლება, — იყო ის პირელი. ნაბიჯები, რომელთაც  
მრავალგვარი წინააღმდეგობის დაძლევა უხდებოდათ.  
გერასიმე კალანდარიშვილს სამოქმედო ასპარეზზე გა-  
მოსვლისთანავე ამ ნაბიჯის გადადგშისა არ შეშინებია,  
თუმცა წინააღმდეგობა მეტი იყო, ვიდრე მხარის დაჭე-  
რა. ზოგიერთები შეუჩევეველ ლხინს შეჩეულ ჭირს ამ-  
ჯობინებდნენ და ისევ ძელი გზით სიარულს ირჩევდნენ;  
როგორც გვიწირავს ისე ვწიროთო—გაიძახოდნენ ზოგი  
მოინტელიგენტო ხუცებიც კი, რამაც გამოიწვია, უეჭვე-  
ლად, გულისტუმივილით აღსავსე შემდეგი სტრიქონების  
თქმა გერასიმესაგან: „... საქმაოდ ბევრია იმისთანა პი-  
რები, რომელნიც დაუზოგავად აძაგებენ სასწავლებელსა  
და მის მასწავლებლებს... იმისთვის, რომ წინანდებურად  
ცემა-ტყეპა აღარ არის; რას ისწავლიანო, შიში არა აქვ-  
თო და სხვ... მეტის-მეტად არ უნდა დამრაბოს კაცმა ეს  
უმეცარი პირები ამისთანა ქცევისა და მსჯელობისათ-  
ვის; ხშირად ისინი გულწრფელად მაინც ამბობენ; მეტი  
არ იციან, რა პქნა?! მაგრამ განა შეიძლება კაცმა გულ-  
გრილად უყუროს, როდესაც ამას შერება კაცი, რომე-  
ლიც სწავლის ერთგვარ პრეტენზიას იჩენს?...<sup>1</sup>

ეს სიტყვები ჟუთაისის სასულიერო სასწავლებელში  
გ. კალანდარიშვილისაგან დაწყებულ სწავლების მეთო-  
დებისა და წესრიგის გადახალისების გარშემო ატეხილ  
დისკუსიაშია ნათქვამი. ეს დისკუსია როგორც პრესაში,  
ისე პრესის გარეთ, კრებებზე და ყრილობებზეც მიმდი-  
ნარეობდა. გერასიმე ყოველთვის თავის პოზიციებზე  
მტკიცედ იდგა და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა.

<sup>1</sup> „დროვება“, 1870, № 1.

1871 წელს ქუთაისში შემდგარ იმერეთის სამღვდელოების კრების შესახებ გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ „შორაპნელი ბლალოჩინის“ კორესპონდენციაზე გერასიმე კვლავ წერდა, რომ ამ „კორესპონდენციაში მართალი მხოლოდ ის იყო, რომ ეს კრება მართლა იყო ქუთაისში, დანარჩენი კი, რაც იქ ეწერა, უმეტეს ნაწილად სულ ტყუილი იყოვო“, და დაწვრილებით, დასაბუთებული ფაქტებითა და შეუვალი არგუმენტებით გასდევს წერილის ავტორს ბოლოში, რომ მტკიცედ და დამაჯერებლად დაიცვას სასწავლებლის უფლება და სახელი, დაიცვას მასწავლებლის ინტერესები და თვალსაჩინოდ გააშუქოს მოსწავლეთა მდგომარეობა და პირობები. ის ამ ფელეტონის დასკვნაში კვლავ დამაჯერებლად აღნიშნავს: „რუსეთში არ არის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც მოსწავლეების რიცხვით შეედარებოდეს ქუთაისის სასწავლებელს: ამაში არის ახლა 460, და ხანმეტიც, 500-მდის მოსწავლე. ამაზგან შემოლოდ 40 ცხოვრის რობს სასწავლებლის პანიონში, დანარჩენი გარეშეგირდები არიან. ძნელი წარმოსადგენია, ვისაც არ უნახავს, რა ცუდი და შესაბრალისია ამ გარეშეგირდების მდგომარეობა.“

წარსულ წელში იყო სასწავლებელში უწმინდესი სინოდისაგან გამოგზავნილი რევიზორი, რომელსაც დავლები და დათვალიერებული ჰქონდა თითქმის მესამედი რუსეთის სასულიერო სემინარიები და სასწავლებლები სხვადასხვა მიყრუებულს და ღარიბ მაზრებში. მან მითხრა, რომ „ამგვარს საძაგელ მდგომარეობაში, როგორშიც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გარემოწაფეები არიან, არსად არ მინახავს მოსწავლენიო“. და ის მოით-

ზოვდა სამღვდელოების ამ კრებისაგან ამ მდგომარეობის  
გამოსწორებას, სასწავლებლის ბინის გაფართოებას, მას-  
წავლებელთა ეკონომიურსა და საყოფაცხოვრებო პირო-  
ბების გაუმჯობესებას და, რაც უმთავრესად მიაჩნდა,  
პანსიონის გაფართოებასა და მოსწავლეებისათვის მე-  
ცალინეობისა და ცხოვრების ხელსაყრელი პირობების  
შექმნას და ამით ორწლიანობისა და, ხმირად, სამწლია-  
ნობის აღმოფენების. რაც შეეხება მოსწავლეთა ფიზიკურ  
დასჯას, ცემა-ტყებას და სწავლების სხვა უხეშ მეთო-  
დებს, ისინი ხომ სასწავლებელში შესვლისთანავე აკრ-  
ძალა. ამ მხრივ იგი გაამაგრა და მხარი დაუჭირა ისეთმა  
ჟავლენიანნა პირმა, როგორიც გაბრიელ ეპისკოპოსი  
იყო, რომელიც სწორედ იმ ხანებში (1860 წ. 2 ივლისს)  
ჭაინიშვნა იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავრად, როცა  
შერასიმე კალანდარიშვილი ქუთაისის სასულიერო სას-  
წავლებლის ზედამხედველად—.

მართლაც, ქუთათელი ეპისკოპოსის გერმანეს (გვა-  
რად გოგოლაშვილი) გადატყვენისა და გაბრიელის (ქიო-  
ძის) დანიშვნის შემდეგ სასულიერო სასწავლებლის პი-  
რობებიც რომ ჩეარა შეცვლილა, ამას დაწვრილებით და  
დაკვრვებით მოგვითხრობს აშ სკოლის იმდროინდელი  
მოსწავლე და უკვე ჩვენი ნაცნობი გიორგი იოსელიანი.  
გაბრიელის მოსვლის შემდეგ მალე შეცვლილა სასწავ-  
ლებლის ზედამხედველიც: მ. გ. ხელიძის ნაცვლად გ. ქა-  
ლანდარიშვილი მიუწვევიათ და სკოლის ცხოვრებასაც  
ახალი შუქი მოჰყენია. „განსვენებული მღვდელმთავ-  
რის მობრძანების შემდეგ,—იგონებს იოსელიანი, —  
ჩვენს სკოლას შედარებით დიდი ცვლილება დატყო:  
როზგებით ცემა მოისპო, კლასებს უფრო სუფთად ინა-

ხავდნენ და მასწავლებლებიც ურთგულად ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას. თითონ გაბრიელი ხშირად შემო-დიოდა გაფვეთილებზე, ბევრ რაშეებს გვიკითხავდა და, როცა მსსწავლებლის განმარტება, ანუ შეგირდის პასუხი არ მოეწონებოდა, თვითონ ჩაერეოდა საქმეში... განსვე-ნებული ყველას ლმობირად ეპყრობოდა და დარიგებას აძლევდა. რა ცელილება მოხდა მის დროს ქუთაისის სა-სულიერო სასწავლებლის მდგომარეობაში, ეს ყველაშ კარგად იცის".<sup>1</sup>

ამ ცელილებათა მთავარი ინიციატორი, ორგანი-ზატორი და გამტარებელი გერასიმე კალანდარი-შვილი იყო, რომელსაც დახმარებასა და მხარდა-ჭერას უწევდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ნიჭიერ ახალ-გაზრდასა და ნივთიერად ხელმოყლე გერასიმე კა-ლანდარიშვილს გაბრიელი მატერიალურადაც ეხმარებო-და, როგორც იტყვიან, ხელს უმართავდა და ამით ცხოვ-რებისა და მოქმედების პირობებს უმსუბუქებდა. ამ ვა-რემოებაზე მიგვითითებს გაბრიელის ის დღიურების სახით წარმოებული დავთრები, რომელიც მას გა-მღვდელმთავრების დღიურანვე მთელ თავის სიცოცხლის მანძილზე უწარმოებია და საღაც კალანდარიშვილთან ერთად არა ერთი და ორი ცნობილი ქართველ მოღვა-წეთაგანია. ნახსენები მრავალჯერ ფინანსური და სხვა სახის დახმარებამიღებულად<sup>2</sup>. სახასიათოა, რომ ამ მხრივ გაბრიელი ბაძავდა; თუ მას ბაძავდა მეორეა, აგ-

<sup>1</sup> მ. კელენჯერიძე, „ცხოვრება გაბრიელ ეპისკოპოსი“, გვ. 197.

<sup>2</sup> მ. კელენჯერიძე, „გაბრიელ ეპისკოპოსი“, გვ. 149-188.

ქუთვე ქუთასში მცხოვრები და ეპისკოპოსის დიდი მე-  
გობარი ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწე და  
მწერალი გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი), რომლის დავ-  
თარიც ამგვარადვე აჭრელებულია აღნიშვნებით სხვადა-  
სხვა ქართველ მოღვაწეებზე გაცემული დაუბრუნებელი  
სახსრების შესახებ<sup>1</sup>.

გერასიმე კალანდარიშვილისა და გაბრიელ ეპისკოპო-  
სის მეგობრობა და შეთანხმებულობა ყველა დოკუმენ-  
ტიდან ჩანს, რაც მთლიანად დააგვირგვინა შემდეგ მათმა  
დანათესავებამ მით, რომ გერასიმემ შეირთო (1872 წ.)  
გაბრიელის ძმის, ათანასე ქიქოძის ქალი ნინო, საქმაოდ  
განათლებული, დროის შესაფერისად მომზადებული და  
იშვიათი ზნეობის ადამიანი, რომელიც ნამდვილ მეგობ-  
რობასა და თანამგზავრობას უწევდა ხალხის განათლე-  
ბის საქმეებით გატაცებულ მეულლეს. ნინოს პიროვნე-  
ბის ქვევით უფრო დაწვრილებით გავეცნობით, როცა  
გერასიმეს ნამოწაფარის დღიურის რამდენიმე გვერდს  
გადავიკითხავთ. აწლა კი ისეგ გერასიმეს საქმიანობას  
გავადევნოთ ოვალური.

ამ საქმიანობის ერთადერთი საგანი და ასპარეზი  
კვლავ სახალხო განათლება და ქუთაისის სასულიერო  
სასწავლებელია, რომლის ყოველმხრივ გაუმჯობესები-  
სათვის დაუზოგავად იბრძვის იგი. სასწავლებელიც,  
ცხადია, თანდათან ეძლევა წარმატებასა და პრესის გან-  
სჯის საგანიც ხდება. ამ განსჯისა და კამათიდან საჭიროა  
აქ რამდენიმე ამონაწერის გაკეთება ისეგ გერასიმეს კალ-  
მის ნაღვაწილან ამა თუ იმ მოწინააღმდეგესთან პოლე-

<sup>1</sup> ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმი, გრ. ლადოაჭა-  
ნის ფონდი.

მიყაში, სადაც ის მთელ რიგ საგულისხმო ცნობებსაც იძლევა სკოლისა და განათლების სხვადასხვა საკითხზე.

უურნალ „მნათობის“ 1870 წლის პირველ ნომერში კანდანდარიშვილი წერდა: „ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს უმეტესი წლიური საშუალება (3.537 მან.) აღგილობრივი, საეკლესიო ხაზინიდან ეძლევა. მოკლულობრიში სასწავლებელი მოელის „უსთავისებრ“ სრულს ცვლილებას, რომლის შემდგომ მას დასჭირდება წელიწადში სარჩიდ 13.000 შანეთი ზედმეტი. მე არ ვიცი ნამდვილად, კვლავაც ექნება სასწავლებელს სასულიერო მთავრობისაგან ახლანდელი შემწეობა ფულით (3.537) თუ არა; უსთავისებრ მთავრობა არ არის ამის ვალდებული და თუ აქაურს საეკლესიო ხაზინაში საშუალება იქნება, ამ სასწავლებელს კი არა, სემინარიას უნდა მოხმარდეს. მაგრამ ვთქვათ, რომ ეპარქიის მთავრობამ შესაძლოდ დაინახოს, რომ ახლანდელი შემწეობა კვლავაც აძლიოს სასწავლებელს, დანაშენენ 10.000 შანეთი ხომ სამღვდელოებამ უნდა იკისროს; თუ არ იკისრებს, შვალები გამოუზრდელად დარჩებიან. ამასთანავე ისიც არის, რომ თუ ერთი სასულიერო სასწავლებელი ახლა არ კმარა მთელი ეპარქიისჭოვის, მით ნაკლებად იქნება საქმიან მომავალში“...<sup>1</sup>

როგორც ჩანს, აქ მრავალი საკითხია წამოჭრილი, მსჯელობის საგნად გამხდარი და მრავალგვარი შემოვლითი გაშუქებასა და გადაწყვეტასაც შიღწეული. დამართლაც, როგორც თვითონვე წერს, „სასწავლებელი თანადათან, წლითი-წლად, ცოტ-ცოტა შანც უმჯობეს-

<sup>1</sup> „მნათობი“—1870 წ. № 1.

და სწავლითა და სხვა მხრითაც; არც ერთხელ უკან  
არ ჩამორჩენილა ის თაგის თანასწორ სასწავლებლებს  
ჟაქაროველოში. მაშინდელს გარემოებაში, იმ საშუალე-  
ბით, რაც სასწავლებელს ჰქონდა, უკეთესად საქმის წა-  
ჭვანა შეუძლებელიც\* იყო“,<sup>1</sup> დასძენს იგი და კვლავ  
თავისებური თავმდაბლური ტონით განაგრძობს:

„მე ძლიერ შორს ვარ იმაზე, რომ სასწავლებელს ქება  
შევასხა; ღმერთმა დამიცას! მაგრამ სიმართლე ითხოვს,  
რომ ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, შედარებით  
ფსჯილეთ საგანზე“.<sup>2</sup> და ეს შედარებით სჯა და ფაქ-  
ტიური მდგომარეობა ამეღავნებდა, ყოველგვარი ძეე-  
ლის მოტრუიალეთა საწინააღმდეგოდ, რომ სასწავლებ-  
ლის ავტორიტეტი აღმაყლობის გზაზე იყო შემდგარი,  
რომ იგი ამ ღუბჭირ პირობებშიც კეთილსინდისიერი  
მზრუნველისა და ზედამხედველის ხელში თანდათან გა-  
მოდიოდა არსებულ სავალალო მდგომარეობიდან. „უკა-  
ნასკნელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში (1868) სას-  
წავლებელს მოემატა მოსამზადებელი და სამი პარალე-  
ლი კლასები. ამით მოისპო თითქმის მხოლოდ ერთი ცუ-  
ლი გარემოება სასწავლებლისა — მოსწავლეთა სიმ-  
რაველე და სივრცროვე კლასებში“.<sup>3</sup>

მაგრამ კეთილსინდისიერი, საქმის სიყვარულით გატა-  
ცებული და ენთუზიასტი ზედამხედველი მარტო ამგვა-  
რი მიღწევებით როდი კმაყოფილდება. ევროპული ყაი-  
დის ინტელიგენტი, განმანათლებელი და პედაგოგი, რო-  
მელმაც უკვე შეისწავლა, გაიზიარა და იწამა მაღალი

<sup>1</sup> „მნათობა“, 1870 წ. № 1.

<sup>2</sup> ოქვე.

<sup>3</sup> ოქვე.

იდეა ზოგადკაცობრიული აღზრდისა, დაეწაფა პიროვოზე ვის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და უშინსკის პედაგოგიურ სისტემებსა და ცხოვრების განშაახლებელ აზრებს. მისი სასწავლებელიც, რაც უნდა უწყებრივი და საეკლესიო ყოფილიყო იგი, მაინც ახალ ყაოდაზე უნდა გარდაქმნილიყო, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე სკოლების ტიპს დამსგავსებოდა როგორც შინაარსით, ისე გარეგნულადაც.

„... რუსეთში თითოეულს სასულიერო სასწავლებელს აქვს თავისი საავადმყოფო აფთიაქით, დოქტორით, ფერმწლით და ყველა საჭირო მოწყობილობით,—წერდა გ. კალანდარიშვილი. — მით უმეტეს საჭიროა ეს ქუთაისის სასწავლებლისათვის, სადაც მეტისმეტად ცუდი ცხოვრებისაგან მოსწავლეები ხშირად ავადმყოფობენ“. ამას გარდა ხაზს უსვამდა იმ გარემოებასაც, რომ ისინი ავადმყოფობის დროს სტოვებენ სასწავლებელს; შინ, შორეულ სოფლებში შემგზავრებიან, ზოგიც გზაზე ცივდება და უარესად ხდება, ზოგიც მორჩენის შემდეგ დიდხანს აჩება სოფლად და, ამრიგად, სწავლას სცდებაო. ამიტომ, მისი აზრით, რომელიც მან ექთერთ საერთო კრებაზე წამოაყენა, საჭირო იყო სასწავლებელთან დაარსებულიყო შესაფერისად გამართული საავადმყოფო და კეთილმოწყობილი პანსიონი—„ბურსა“. ამავე კრებაზე გერასიმე კატეგორიულად მოითხოვდა გარეშე-გირდებისათვის ცალკე ზედამხედველის გამოყოფასაც. რადგან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს ჯერჯერით არ გააჩნდა ეს ფამართული და მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად დამტევი ბურსა და ისინი „გაფანტულად და მოშორებით იდგნენ. სასწავლებელზე და

ერთიმეორეზეც, — აღნიშნავდა კალანდარიშვილი, — ...ამიტომ ყოვლად შეუძლებელია სასწავლებლის ახლანდელმა ინსპექციამ ჯეროვანი ზედამხედველობა იქნიოს მათზეო” (იქევ).

დროსა და აჩსებულ ატმოსფეროსთან შედარებით უფრო შორსაც მიღის გ. კალანდარიშვილის პრაქტიკული მოთხოვნა სწავლა-აღზრდის გადახალისებისა და გარდაქმნის დარღმი. აღზრდის თავისუფალ პრინციპებზე მდგარი, იგი მოითხოვს აღსაზრდელთა ყოველმხრივი განვითარებისათვის „სასწავლებელში გიმნასტიკის გაწყობას“. ბაჟშვის ნამდვილი ოღზრდისა და განვითარებისათვის მას აუცილებლად მიაჩნია სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სხვადასხვა სახის შემოღება სკოლაში, რამაც ერთგვარი განცვიფრება და უკმაყოფილებაც გამოიწვია კონსერვატულად განწყობილ კლერიკალურ წრეებში. შეგრამ გ. კალანდარიშვილი ამგვარ განწყობილებებს არ უშინდება, იგი დაბეჭითებით გაშოსთქვამს აზრს და დაპირებას იძლევა, რომ ყველაფერი ეს სკოლას სულ ახლო მომავალში ექნება.<sup>1</sup>

1869 წლის „დროებაში“ (№ 41) გერასიმე კალანდარიშვილი ფართოდ და მკვეთრად აყენებს საჭითხს ქუთაისში სასულიერო სემინარის გახსნის საჭიროების შესახებ.

„აუცილებელმა საჭიროებამ მოითხოვა, — წერს იგი, — რომ რუსეთის სამღვდელოების მსგავსად, იმერეთის სამღვდელოებასაც ეზრუნა თავისი შვილების გამოზრდაზე... იმერეთში და საზოგადოდ დასავლეთ საქართველოში სემინარია არ არის“. იგი სწუხდა იმაზეც, რომ,

<sup>1</sup> „დროება“, 1870, № 1.

საშწუხაროდ, „ოთხელასიანი სასულიერი სასწავლებელიც მხოლოდ ერთია იმერეთში და გურიაში ისიც არ არისო“... მართალია, ეს—სასწავლებლები მეტად განსაზღვრული ხასიათისა და უწყებრივი იყო, მათს მოვალეობაში მხოლოდ ხუცებისა და სხვა სასულიერო პირთა მოშზადება შედიოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ოფიციალური მხარე იყო მათი — ძირითადი პრინციპი და საფუძველი, რაზედაც სასწავლებელი იყო აგებული, თორემ იქ სწავლამიღებულ მოქალაქეს უფლება რჩებოდა, თუ მას არ სურდა, არ ჩაეცვა ხუცის ანაფორა და სხვა გზით გამოეყენებანა შიღებული განათლება, რომელშიც გარდა სასულიეროსი, ე. ი. წმინდა საეკლესიო მსახურებისა, საურო ელემენტებიც შედიოდა. საღვთო წერილის გარდა იქ ხომ ისწავლებოდა ქართული და რუსული ენა და ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია, ბუნებისმცოდნეობა და ფიზიკა, მათემატიკურა საგნები და ზოგიერთი უცხო ენაც. ასე რომ სასულიერო სასწავლებლისა და ქემინარიის კურსდამთავრებულნი სამოქალაქო სარჩიელზეც საჩინო აღგილს იჭერდნენ თავის დროს.

— და რაყი ამგვარი სასწავლებლების გახსნას მეტი მხარდაჭერა ჰქონდა მართებლობისა და ზოგჯერ მატერიალური დახმარებაც, საჭირო იყო ამ მომენტით სარგებლობა და ასე თუ ისე. განათლების გავრცელება ხალხის დაბალ ფენებში, საიდანაც უმთავრესად გამოსულნი იყო ქართველი სამღვდელოება. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სასწავლებელში, გარდა მღვდლის შვილებისა, სწავლის მოწადინე სამოქალაქოთა შვილებიც ხშირად ხედებოდნენ და ყველაზე მეტი პროცენტი ამ კონტინგენტისა—გლეხის შვილზე ან გლეჭური წრიდან გა-

მოსულ მოქალაქეთა შვილებზე მოდიოდა. ამიტომ ერთ-გვარ ხელსაყრელობას გრძნობდნენ იმდროინდელი განათლების მესვეურები აშ ტიპის სასწავლებლებში და ისინც იღწვოდნენ და არ ერთდებოდნენ ამგვარი განათლების გავრცელებასა და სასწავლებლების გახსნას.

გერასიმე კალანდარიშვილის ხანგრძლივ მეცადინეობას, ბრძოლასა და ზრუნვას — დაარსებულიყო ქუთაისში სასულიერო სემინარიაც, ბოლოს და ბოლოს ჰლირსებია ფანხორციელება. ამის შესახებ გაზეთ „ღროებაში“ ვკითხულობთ, რომ უკანასკნელ ხანებში ის თავგამოდებით ცდილობდა „დაფუძნებულიყო ქუთაისში სასულიერო სემინარია და ეს თავისი სურვილი ეპისკოპოსის გაბრიელის გაულენით კიდეც აღასრულა... მთავრობამ დაამტკიცა სემინარიის დაფუძნება ქუთაისში“. <sup>1</sup>

მაგრამ მისგან დაფუძნებული ამ დიდი საქმის საბოლოო დაგვირგვინებას ის ვერ მოესწრო, ხოლო იმ სასწავლებელში, რომლის ღრმელს მასწავლებელი, ზედამხედველი და გულისხმიერი მზრუნველი ის იყო, სულ 13 წელიწადი დასკალდა ღვაწლი.

1872 წელს შეულლებულ ნინო ათანასეს ასულისა და გერასიმეს შინაარსიანი ცხოვრება მხოლოდ წელიწადნახევარს გაგრძელდა. იონა მეუნარგიას ცნობით, გერასიმე 1873 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში მძიმე ავად გამხდარა. 14 იანვარს გადაუყვანიათ საავაღმყოფოში, საღაც 1874 წლის 27 იანვარს (ძვ. სტ.), საღამოს 11 საათზე გარდაცვლილ „შემდეგ საშინელის წვალები-

<sup>1</sup> „ღროება“, 1874, № 411.

სა და შფოთვისა“ და იქვე, ქუთაისის წმ. გიორგის უ-  
ლესის ეზოში დაუკრძალავთ შესაფერო გლოვა-მწუხა-  
რებით.<sup>1</sup>

აშ ცნობით შეშფოთებული, სარგეი მესხის გაზეთი  
„დროება“ (№ 411) გულსტკივილით იტყობინება „სამ-  
წახურო ამბავს... ჩვენი ქვეყანა მოაქლდა ერთს სასაჩ-  
გებლო კაცს. იანვრის დამლევს ქუთაისში გარდაიცვალა  
გერასიმე სიმონის-ძე კალანდარიშვილი, რომელიც 12-ის  
თუ 13-ის წლის განმავლობაში შეძლებისამებრ შრომიბ-  
და ჩვენის ხალხის განათლებისათვის. ხალხში წერა-  
კითხვის და სწავლის გავრცელება იყო იმისი მიზანი,  
რომელსაც შესწირა იმან თავისი ჯანმრთელობა“.

გაზეთი მკითხველის კურადღებას მიაქცევს იმასაც,  
რომ გ. კალანდარიშვილი მარტო კარგი მსსწავლებელი,  
ინსპექტორი ან გამოცდილი მეთოდისტი როდი იყო,  
არამედ დროის მოთხოვნის სიმაღლეზე მდგომი თეორი-  
ული ცოდნით აღჭურვილი პედაგოგი და ავტორი რევი-  
პუბლიცისტური და პოლემიკური სტატიებისა, რომ მან  
„თავის სასახელოდ და სახსოვრად დაგვიტოვა ერთი სა-  
ხელმძღვანელო წიგნიც. ყოველი იმისი ნაცნობი კეთი-  
ლად მოიხსენიებს ამ კაცის დაულალავ შრომას და განუ-  
დრეკლად აღნიშნული მიზნისადმი მსვლელობას“.<sup>2</sup>

აშ ნაცნობთაგან პირველ რიგში გოგებაშვილს უნდა  
მოვუსმინოთ. გ. კალანდარიშვილი ი. გოგებაშვილზე  
უფროსი იყო და მისი ერთგვარი წინამორბედიც სამოქ-  
მედო ასპარეზზე. მათი სულიერი კავშირი იმდენად ში-

<sup>1</sup> იხ. ი. მეუნარგიას დღიურები ზუგდიდას ისტ.-ეთნ. მუზეუმში.

<sup>2</sup> „დროება“, 1874, № 411.

ნაარსიანი, ლრმა და მომავლის იმედებით აღსავსე იყო. რომ გერასიმეს „ულვთო სიქვდილმა“ ახალგაზრდა ი. გოგებაშვილს სასოწარკვეთილი და მწუხარე ლირიზმით აღსავსე სიტყვები ათქმევინა:

„გერასიმე და სიქვდილი, ეგ ორი საგანი აქამდის ვერ თავსდება ჩემს გოხებაში,—წერს გოგებაშვილი, —ვერც გული და ვერც ზონება ვერ შეჯერებია ამ საძაგლ ფაქტს. მხოლოდ ეხლა მაგრძნობინა სიკვდილმა თავისი საშინელი, შეუბრალებელი და საზიზლარი ძალა, თუმცა ახლო წათესავი ბევრი მყავს დახოცილი. როცა სიკვდილი სცელავს ჩვეულებრივ პირთა, მისს მოქმედებაში ვერ პპოებ განსაკუთრებულ ამაღლვებელ საბუთსა— მაგრამ როცა ის უდროოდ ეხება მაღალ ჭკუას, ლრმა გრძნობას, ვნერგოულ და გონიერ შრომას, მტკიცე და პატიოსან ხასიათს, როცა ის ეხება იმ იშვიათ პირს, რომელიც შეადგენს ცხოვრების მარილს,<sup>1</sup> როცა ის შეუბრალებლივ უსვამს ცელს ყმაწვილ სიცოცხლეს, რომელსაც ჰქონდა სრული უფლება ხანგრძლივი ბეღნიერებისა, მაშინ, მხოლოდ მაშინ, ცხადად მიღება თვალწინ ცხოვრების სიმუხთლე<sup>2</sup>.

ამ სიტყვებს თუ დავუმატეთ რამდენიმე ამონაწერი ვაშინ თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელი კურსის მოსწავლის—გერასიმე კალანდარიშვილის ნამოწაფარისა და მისი უახლოესი შევობრის—იონა მეუნარგიას დღიურებიდან, გერასიმეს მნიშვნელობა ისედაც მცირერიცხოვან იმდროინდელს ქართველ ინტელიგენ-

<sup>1</sup> ხაზი ჩემია,— ს. ც.

<sup>2</sup> ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ი. მეუნარგიას უსული არქივი.

ციაში რამდენადმე წარმოდგენილი გვექნება. ჩვენ ამ დღიურებს ცოტა ბლომად უნდა დავესესხოთ, რადგან იგი, ჯერჯერობით მაინც, ერთადერთი საარქივო და ოფიციალური მასალაც პრის, საიდანაც შეიძლება ამოკითხვა ამ თითქმის დავიწყების მორეგში ჩაძირული ადამიანის მაღალი ღირსებებისა, იშვიათი საშეგობრო თვესებებისა და ხასიათისა, სასარგებლო და მარად სასიქადულო მოქმედებისა და მუშაობის სტილისა. და, რაც მოთავარია, მისი გავლენისა და დადებითი შთაბეჭდილებისა მოზარდჲ თაობაზე, რომლის დამახასიათებელ წარმომადგენლად შეიძლება ამ დღიურის ავტორი ჩაითვალოს.

დღიური მოსწავლისაა და ამდენად ზედ ეტყობა გამოუცდელი კაბმის ვარჯიში, შეგრამ იგი ძვირფასია და მნიშვნელოვანი ამ შემთხვევისათვის, როგორც მრავალი ფაქტისა და ცნობის გადმომცემი, და ჩვენც უცდილობთ ამოვკრიფოთ მხოლოდ ის აღგილები, რომელნიც ჩვენი საგნისა და საყითხის გაშუქებაში დაგვეხმარება:

„1874 წლის 9 თებერვალი. ქუთაისი. ხელ შესრულდება ერთი თვე, რაც ხელში არ ამიღია ჩემი „დღიური“. შიზეზი ის არის, რომ ამ თვეში ერთი საათიც არა მქონდა და თავისუფალი. შეელი ჩემი არსება ერთი აზრით იყო შეპყრობილი—ხელი შემეწყო და მომერჩინა (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ჩემთვის) ის, ვისი სახეც მუდამ თვალშინ მიღვას. სულით და გულით მინდოდა მორჩენილიყო ეს პატიოსანი, მაღალმგრძნობიარე, სახეგაშლილი და გონიერი კაცი, მაგრამ დაიკარგა ყველაფერი; გაპერა სიცოცხლე. ეს საზოგადოებაში გართული ადამიანი ახლა ერთს უხეირო ცაცხვის ძირას დედამიწას ჰყავს ჩაყრდნობილი...

„არ არის ქვეყანაზე ეს ცოცხალი და აზროვანი თვალები. დაიკარგა იგი სხვადასხვა ღირსეული გამოხატულებით... დიახ, დაიკარგა, გაჰქრა, არ არის დედამიწის ზურგზე გერასიმე კალანდარიშვილი; ის პატიოსანი და შესანიშნავი ადაშიანი გახდა მიწის კერძად—27 იანვარს 1874 წელს, საღამოს 11 საათზე. ის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში გახდა ავად და 14 იანვრამდის ავაღმყოფობდა შინ. 14 იანვარს ჩამოვიყვანეთ გოსპიტალში. აჭ ცოტა ხანს უკეთ იყო, მაგრამ თანდათან უფრო ჰყარვავდა ძალას და 27 იანვარს ამოხდა სული შემდეგ საშინელის წვალებისა და შფოთვისა...“

„შეურს ეს სურათი ქაღალდზე გადმოვიწერო. ამის შეხედვა იმის ძგირფასი ფიზიონომიის შეხედვას მაგნებს, ეს უსულო ქაღალდი სულიერ კალანდარიშვილის არსების სახეა...“

„პორტრეტი ორიგინალის ნახვის ნახევარია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ ორიგინალს ვერასოდეს ვერ კიპოვით და ჩვენ სულ პორტრეტი გვრჩება ხელში სახსოვრად. ოხ, რამდენ რასმე მაგონებს ეს უსულგულო პორტრეტი... გერასიმესი რაღაც დარჩა ამ სოფლად, სულ არ დაკარგულა...“

„ჩემს სიცოცხლეში ეს მეორეჯერ შევწუხებულვარ სხვისი სიკვდილით. ერთი მაშინ, როცა (შარშან ნოემბერში) მ. სანებლიძე<sup>1</sup> გარდაიცვალა, ერთიც ახლა ახლანდელი ჩემი მწუხარება, რასაკვირველია, არა ჰგავს იმ წინანდელს. ეს იმიტომ, რომ მ. ს. სხვა კაცი იყო და

<sup>1</sup> მიხა სანებლიძე—სემინარიელი ყოფილი ი. მ-ს სკოლის მჩხანგი და მეგობარი, როგორც ეს დღოურიდან ჩანს.

გერასიმე სულ სხვა. ამასთანავე მეც შარშან სხვა ვიყავდა და განწყობილებაც სხვაგვარი მქონდა. მ. ს. გარდაცვალებით შევწუხდი საკუთარი გრძნობით და გულით მწყენოდა, რომ მომიკვდა საყვარელი კაცი; გ. კალანდა-რიშვილის სიკვდილით შევწუხდი ჯერ როგორც საზოგადოების წევრი, რომელმაც ვიცი რა დაკარგა ჩენმა საზოგადოებამ და შემდეგ ისეთმა იმის ნაცნობმა და მეგობარმა, რომელსაც გულით მიყვარდა და პატივს ეცემდი იმის ჭეშმარიტად საყვარელსა და მიმზიდველ თვისებებს“. <sup>1</sup>

დღიურების ამ ნაწყვეტებს უნდა დავუმატოთ ერთი ადგილი იმ წერილიდან, რომლითაც ი. მეუნარგიას აკაკისათვის უპასუხნია 1874 წლის 16 მაისს. იმ ხანებში ჟამულიერო სემინარიიდან პოლიტიკურად არაკეთხლსაიმედონობისათვის გარიცხულ ოცდაორი წლის იონა მეუნარგიას იმდენი შესწევს, რომ კერძო წერილებით მარც გამოეკათოს ისეთ დიდ მწერალსა და ცნობილ მოღვაწეს, როგორიც აკაკი წერეთელი იყო სამოცდაათიან წლებში. აკაკისადმი ერთ-ერთ საპასუხო ვრცელ ჰარათში, სხვათა შორის, სამართლიანად წერს მეუნარგია: „როგორც თანამედროვესათვის შეუმჩნეველი რჩება. ბევრი რამ, რაც მეღვნდება შემდეგ დროისა და ისტორიის მიერ, ასევე ერთად მცხოვრებთათვის და ნაცნობ-

<sup>1</sup> ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ი. მეუნარგიას აჩქივი—დღიურებთ, 1872-74 წ.

თათვის შეუმჩნეველი რჩება ბევრი რამ, რასაც არა უშუალოდ ამჩნევენ უცნობნი”...<sup>1</sup>

შემდეგ იგი ეხება გაზით „დროების“ ერთგვარ უსა-  
შართლო განსჯას და უგეგმობას, დაუკვირვებლობის გა-  
მო მცდარი გზით სვლას და დასძენს, რომ ერთადერთი,  
რაც „პატივისცემის ღირსია ჩვენს ლიტერატურაში —  
ესაა თანდათანობით განვითარებული მოქნილობა ენისა,  
რასაც, აღვნიშნავ, სხვათა შორის თქვენ დიდად შეუწ-  
ყეთ ხელი, — მიმართავს იგი აკაკი წერეთელს. — ყოვე-  
ლივე სხვა, ყოველივე ის, რასაც ეწოდება საზოგადო-  
ებრივი საკითხი, პატიოსანი მიმართულება, კეთილსინ-  
დისიერი შრომა, ყოველივე ეს ჩვენში მხოლოდ მყვდარი  
და უშინაარსო სიტყვებია“. <sup>2</sup> იგი მაშინდელ საზოგადოე-  
ბას თვითდინებით მაგალსა და უგეგმოდ მოქმედს უწო-  
დებს, რომელსაც არ გააჩნია რაიმე საზომი და დაკვირ-  
ვება მიზანშეწონილი მოქმედებისათვის. მაგალითად,  
იმავე წერილში იგი აკაკის სწერს:

„როდესაც ოზურგეთში რომელიმაც ფერშერი მარი <sup>3</sup>  
გარდაიცალა, რედაქციაშ შეაქო ის და „დროებაში“ შო-  
თავსდა გრძელი, ძალიან გრძელი წერილი <sup>4</sup> მის დამ-  
სახურებაზე, მაგრამ როდესაც მოკვდა კალანდარიშვი-  
ლი, რედაქცია დაქმაყოფილდა 2-3 აბზაცით მის შესა-

<sup>1</sup> ის. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ნ. ნიკოლაძის  
არქივი, წერილი მომაწოდა პროფ. რუსულან ნაკოლაძემ, რასთვისაც  
დიდ მაღლობს მოვასტენებ.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იური მარი, გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის  
უფლის მებაღე, შოტლანდიელი, პაპა ჩვენი სახელოფანი მეცნავ-  
რის ნიკო იაკობისძე ზარისა.

<sup>4</sup> ის. გაზ. „დროება“, № 421.

ხებ. აქ როგორ არ გაგახსენდებათ ბერნეს ცნობილი აფორიზმი. ჰმ, მარი და კალანდარიშვილი, კალანდარი-შვილი და შარი?“<sup>1</sup>

ამ ფაქტით აღელვებული ახალგაზრდა მკითხველი და მომავალი ლიტერატორი ერთობ ნაწყენი ტონით მიმართავს „დროებს“ რედაქტირას, რომლის ერთ-ერთი აქტიური და თვალსაჩინო თანამშრომელიც აკაკი იყო იმ პერიოდში: „რედაქტირავ, რედაქტირავ, შეიძლება მე ყოველივე გაპატიო შენ, მაგრამ კალანდარიშვილისადმი უპატივცემულობა არ შემიძლია გაპატიო, არ შემიძლია იმიტომ, რომ აქ შეურაცყოფას განიცდის ჩემი წმინდა გრძნობა, ყოველივე ის, რაც არის ჩემში მაღალი და იდეალური, და თუ როდისმე,—რაც ხდება ხოლმე,—ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ხელში იქნება მომავალი, ის მთელს თავის აღწევოთებას გაშილსთქვამს „დროებს“ აწინდელი თანამშრომელების მიმართ კალანდარიშვილის ხსივნის უპატივცემულობისათვის, რადგანაც ბევრია ქვეყნად ისეთი გული, რომელიც ღრმა პატივსა სცემს ჩვენი საზოგადოების უპატიონსნესი და უსარგებლოები წევრის; გერასიმე სიმონის-ძე კალანდარიშვილის ხსოვნას.

თქვენ, რასაკვირველია, გეპატიებათ, რომ მთლიანად არ იცნობდეთ ამ კაცს. იმისათვის, რომ ის გცოლნოდათ, საჭირო იყო ყოფილიყავით მისი მოწაფე,<sup>2</sup> რადგანაც ის უმთავრესად, მოქმედებდა ამ წრეში<sup>“2”</sup>...

და დასასრულ, ის არწმუნებს აკაკის, რომ მხოლოდ იქ, „მის სკოლაში, დამშვიდებული და ჩური დაკვირვე-

<sup>1</sup> საჯარო ბიბლიოთეკის ნ. ნიკოლაძისეული ფონდი, წერილი აკაკისადმი.

<sup>2</sup> იქვე, წერილი აკაკისადმი.

ბის შედეგად შეიძლებოდა შეგყვარებოდათ ეს კაცი ყლორტები იმისა, რაც არის ჩვენს გულში წმინდა და ქარგი და რაც შემდეგში განვითარდება და დასრულდება, შთანერგილია ჩვენში ამ არაჩვეულებრივი ადამიანის მიერ. თქვენ თუ იმდენად ავი აღმოჩნდებით, რომ უსულგულო სტატისტიკოსის მსგავსად მომთხოვთ ანის ცხადად დამამტკიცებელ საბუთებს, მე არაფერს გიპა- სუხებთ, მხოლოდ, შეიძლება მიგითითოთ ლეჟავაზე,<sup>1</sup> — ის არის ერთ-ერთი იმ მცირეოდენ იმერელთაგან, რო- მელთათვისაც ძვირფასია შატიოსნება და პირდაპი- რობა...<sup>2</sup>

დღიურისა და წერილის ავტორმა გერასიმე კალანდა- რიშვილის უდროო გარდაცვალებით გამოწვეული გრძნობისა და სევდის გამოხატვა ასე თუ ისე მოშერხა, ამით, პირველ რიგში, ცხადია, გული მოიხს საყვარელ შასწავლებელზე მგლოვიარე და მგრძნობიარე ახალ- გაზრდამ და უნებურად ჩინებული მასალაც დაგვიტოვა ამ უყამობით მიჩრდილული და მივიწყებული მოამაგრა ახლო გასაცნობად.

ჩვენ ამ დღიურებს კომენტარს არ გავუკეთებთ. ამას ისინი არ საჭიროებენ, თუნდაც გაზიერ „დროების“ საქ- ცოელის შეფასებაში, რომელმაც, უეჭველია, ჯეროვანად გერ გაიგო გერასიმე კალანდარიშვილის მნიშვნელობა და როლი იმდროინდელს მოწინავე ქართველთ საზოგადოე- ბაში. მართლაც, მის ფურცლებზე დაგვიანებით შოთავ- სებულ ორ-სამ აბზაციან ნეკროლოგში ზერელედ აღნიშ-

<sup>1</sup> თეიძურაზ ლეჟავა.—ბ. ც.

<sup>2</sup> თბ.: თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ნ. ნიკოლაძის შეკვეთი არა ქავის ფონდა.

ნულია გერასიმეს მაღალკვალიფიციური პედაგოგობა და ხაზგასმულია მხოლოდ ის, რომ მან დაგვიტოვა ერთი სახელმძღვანელო წიგნი.

ცხადია, ეს ერთი სახელმძღვანელო წიგნი აქვს მხედველობაში მის ლირსეულ ნამოწაფარსაც, როცა ის თავის დღიურში ერთგვარი ნუგეშით წერს: „გერასიმესი რაღაც დარჩა ამ სოფლად, იგი სულ არ დაკარგულაო“.

ჩვენც ამ წიგნზე უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება მცირე ხსით შაინც, რაღგან იგი გახდა მართლაც ერთგვარი ძეგლი, რომელმაც გ. კალანდარიშვილის პიროვნების გახსენება და აღდგენა გამოიწვია; ის გახდა ისეთი ძეგლი, რომელმაც გზა გაუხსნა ჩვენს ხსოვნასა და პატივისცემას მისი ავტორის სახელისა და ამაგისაღმი. ამავე დროს ის იყო წიგნი, რომელიც მთელი ორი ათეული წლის მანძილზე ზრდიდა, წრთვნიდა და ფართული ქართული კულტურის ახალ და ახალ მოამაგეთა წყებას.

#### IV

მაშინ როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ თითქმის ურყევად მძგინვარებდა ბატონიშვირი ურთიერთობა და განათლებისაკენ საზოგადოების ძლიერ მცირესა და „რჩეულ“ ნაწილს ჰქონდა გზა გაკვლეული, და ეს განათლებაც მხოლოდ ერთს შიზანს—ერის გადაგვარების პრინციპებს ემსახურებოდა, რასაკვირველია, მძიმე და დიდად პასუხსაგებიც იქნებოდა ხელმძღვანელობა და წორმალურ პირობებში წარმართვა ისეთი დიდი საგანმანათლებლო ორგანიზაციისა, როგორიც ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი იყო. გ. კალანდარიშვილი ამ ორშაბ პასუხისმგებლობას არ შეუშინებია. პირიქით, ის

ცდილობს არსებულის გარდაქმნას, აღზრდის ძველი პრინციპების ახლით შეცვლას და, რაც უმთავრესია, ცდილობს სკოლას დაუბრუნოს ეროვნული სული, რომ იგი ქართველი ბავშვებისათვის მშობლიური გახდეს.

გ. ქალანდარიშვილს ლრმად ჰქონდა შესწავლილი და ათეისებული რუსეთის დიდი პედაგოგის და მოაზროვნის კ. დ. უშინსკის სალი პედაგოგიური დებულებები და მოძღვრება სკოლისა და განათლების ხალხურობის შესახებ, რომ სკოლა უნდა იყოს ნაციონალური, მშობლიურ ენაზე დაწყარებული და გამართული, სადაც მეცნიერების დაუფლება მშობლიურ ენაზე უნდა ხდებოდეს; უშინსკის აზრით, უმჯობესია ადამიანი მშობლიურ ენაზე გამოსახვდეს რამდენადმე მაინც გამართულ აზრს, ვიღრე სამ ენაზე თავის უკიდურეს სისულელებს ამჟღანებდეს. და, რაც ყელაზე უფრო სანუკვარია, სკოლა უნდა იდგეს ენის დაცვის სადარაჯოზე, რადგან „სანამ ცოცხალია ხალხის ენა—ცოცხალია ხალხიც, გაჰქრება ენა ხალხისა—გაჰქრება ხალხიც“, —ამბობდა უშინსკი, მსგავსად ჩვენი დიდებული პოეტის გრიგორ ორბელიანისა, რომელმაც 70-იან წლებში ახალ თაობას შეჰდალადა: „რა ენა წახდეს, ერთც დაცეს“-ო.

სკოლის ეროვნულობის ამ პრინციპის მეცნიერულად დასაბუთებამ და დაცვამ, მისთვის დაუპახრომელმა ბრძოლამ 80-იან წლებში, დიდი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ეს სალი პედაგოგიური მოძღვრება და სახალხო განათლების სისტემა საქართველოში საშ უმთავრეს „დედა-აზრზედ“ დამყარებინა: ა) „დედაენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო

სკოლის კურსისა და მის ოგიან შესწავლაზედ უნდა  
იყოს მიქცეული უმთავრესი ყურადღება; ბ) სწავლება  
ყველა საგნებისა უნდა მიღიოდეს დედაქანაზედ მთელის  
კურსის განმავლობაში; გ) რუსული ენა უნდა ისწავლე-  
ბოდეს, როგორც ცალკე საგანი, და მის დაწყებას უნდა  
ჰქონდეს ადგილი მხოლოდ მესამე წლიდან".<sup>1</sup>

ეს საბრძოლო ამოცანები საბოლოოდ და სრუ-  
ლად მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციამ და-  
ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნულმა ნაციონალურმა-  
პოლიტიკამ გადასჭრა. მანამ კი, მთელი ნახევარი საუკუ-  
ნის მანძილზე, მოწინავე ქართველი საზოგადოება და პე-  
დაგოგიური ძალები სხვადასხვა ფორმითა და სახით მხო-  
ლოდ დაუცხრომელ ბრძოლაში იყვნენ ჩატარებული.

ამ ბრძოლის საწყისებში გერასიმე კალანდარიშვილს  
თავისი ხანმოკლე მოღვაწეობით იმდენი წელილი აქვს  
შეტანილი და ჩაკირული, რომ თამამად შეიძლება ით-  
ქვას: იგი ერთი იმ ქართველი პედაგოგთაგანია, რომელიც  
საქართველოს სინამდვილეში სწავლა-განათლების ახლე-  
ბურად მოწყობისა და მასთან შეფარდებული სახელმძ-  
ღვანელოს შედგენისათვის იბრძოდა.

გერასიმე კალანდარიშვილის ეს სახელმძღვანელო  
„რუსული ენის „სასწავლებლად ქართველ ახალ მოსწავ-  
ლე ყმაწვილებისათვის“, როგორც გაზით „დროებაში“  
მოთავსებული განცხადება გვაცნობს, პირველად 1866  
წელს გამოცემულა.<sup>2</sup> ამ გამოცემის სანიმუშო ეგზემ-  
ლარი საქართველოში და არც სხვაგან, სამწუხაროდ,  
ჯერვერობით აღმოჩენილი არ არის.

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი, თხ. ტ. II, გვ. 79.

<sup>2</sup> „დროება“, 1866 წ., № 12, 20, 23, 24, 25, 33, 38, 39, 44  
და ა. შ.

ეს სახელმძღვანელო ორმ პირველად 1866 წელს გა-  
შოქეცხნებულა, აშენ გვიდასტურებს „დროების“ შემდე-  
ვი „ბიბლიოგრაფიული ცნობა: მელიქიშვილის და კაშპ.  
სტამბაში იბეჭდება და ამ მოქლე ხანში გამოვა „სახელ-  
მძღვანელო რუსული ენის სასწავლებლად ახალ-მოსწავ-  
ლე ქართველ ყმაწვილთათვის“, შედგენილი გ. კალანდა-  
რიშვილის მიერ”<sup>1</sup>.

ამის მომდევნო განცხადებაში კი, იგივე გაზეთი უფრო  
ფართოდ იძლევა განმარტებას, რომ აღნიშნული სახელ-  
მძღვანელო გამოვიდა, ლირს 1 მან. და 25 კაპ. „ისყიდე-  
ბა: ტფილისში, მელიქიშვილის და კაშ. სტამბაში... სემი-  
ნარიაში, უფ. იაკობ გოგებაშვილისას და ქუთაისში —  
თვითონ გერასიმე კალანდარიშვილისას“.

საგულისხმოა ი. გოგებაშვილისა და გ. კალანდარი-  
შვილის ურთიერთ დახმარება და თანამშრომლობა ამ  
შხრივაც. მაგალითად, „დროების“ № 5-ში (1866) ვკით-  
ხულობთ, რომ ი. გოგებაშვილის „სახელმძღვანელოდ  
შიღებული საქართველოს ყოველს საერო და სასულიე-  
რო სასწავლებელში—„ქართული ანბანი და პირველი სა-  
კითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“... ისყიდება ქუთაისში  
—სასულიერო სასწავლებელში, გერასიმე კალანდარი-  
შვილთან“.

მაგრამ, ეს სხვათა შორის. ახლა კვლავ კალანდარი-  
შვილის სახელმძღვანელოს დავუბრუნდეთ. მისი მეო-  
რე, შესწორებული და რამდენადმე სახელწოდებაშეცვ-  
ლილი გამოცემა გამოქვეყნებულია 1868 წელს თავ-  
ფურცლის ამგვარი გაფორმებით:

<sup>1</sup> „დროება“, № 12.

„რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის. შეღგენილი გ. კ-შვილის მიერ, მეორე გადაწორებული გამოცემა, თიფლის, ტიპ, მელიკოვა და კ-ი. 1868 წ. 243 გვ. („ფასი 60 კაპ.“).

აღნიშნული გამოცემა დაცულია მხოლოდ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.<sup>1</sup>

ამის შემდეგ მეექვსე გამოცემამდე ამ სახელმძღვანელოს სანიმუშო ეგზემპლარები ჯერჯერობით თანამედროვე მკვლევართათვის ხელმისაწვდომი ვერ გამოიყოფა. მეექვსე გამოცემას კი, რომელიც დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, გარეუანზე და სატიტულე გვერდზე ქართულ და რუსულ ენებზე აწერია:

„პირველ დასაწყისი კურსი რუსული ენისა ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ გამოცემა მეექვსე. გადასწორებული და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან... 1879 წ. 197 გვ.“ (იხ. აქვთ გვ. 39, 45).

აღნიშნული გამოცემის ერთი ეგზემპლარი საქართველოს ფარგლებში, ჯერჯერობით, მხოლოდ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში იპოვება. „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ ცნობით (959), ამავე სახელმძღვანელოს მერვე გამოცემა დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში. როგორც აღნიშნული გამოცემის სათაუფურცლო გაფორმებიღან ჩანს, იგი რედაქტორის მიერ ძირითადად უნდა იყოს გადამუშავებული. აქ არც ქართული წარწერები ჩანს. „Начальный курс русского языка для грузин по практическому методу. Составил Г. Каландари-

<sup>1</sup> იხ. ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია, გვ. 119 (355).

Чтение в Императорской Академии наук  
П. ГРИНКЕРОВА.

ЧХЧЧ-82

ПАРХАМЕТНЫЙ КУРСЪ

РУССКАГО ЯЗЫКА ДЛЯ ГРУЗИНЪ

1647121

Составленъ С. К. Гринкеромъ

Изданъ въ 1879 г. въ Тифлисѣ

Губернаторъ Тифлисской губерніи

Бюджетъ соловѣйского бюджета

Составленъ С. К. Гринкеромъ

Изданъ въ 1879 г. въ Тифлисѣ

Составленъ С. К. Гринкеромъ

Изданъ въ 1879 г. въ Тифлисѣ

ТИФЛИСЪ.  
Издательство А. А. Михеиліи  
1879.

3. საქართველოს სახელმწიფო გუნდის სატელის გუნდის მიერ გამოსახული გვ. 6 ვებრეკის 1879 წლის 20 მარტის დღის დასახლება.

швили. Изд, восьмое, совершиенно переделанное Яковом Гогебашвили. Тифлис, тип. П. Крамаренко. (გვ. 156, ფასი 45 კაბ.). ეს არის აღნიშნული სახელმძღვანელოს უკანასკნელი გამოცემა.<sup>1</sup>

ზემომოყვანილ ბიბლიოგრაფიულ ცნობებიდან ჩანს, რომ ავტორის გარდაცვალების შემდეგ ამ სახელმძღვანელოს პატრონობს, ბეჭდავს და რედაქტორობს, იცავს და თითქმის თანავტორობს ჩვენი სახელოვანი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი; ირკვევა აგრეთვე ისიც, რომ წიგნი თანდათან უმჯობესდება, იხვეწება, მეთოდურად გამართული და ნათელი ხდება, ღიღდაქტიკურადაც გადახალისებას განიცდის, ტექნიკურადაც ლამაზდება, სკოლებსა და ხალხშიც მეტ გავრცელებას პოულობს და ფასის მხრივაც იაფლება: თუ პირველი გამოცემა 1 მან. და ხუთი შაური ღირდა, მერვე გამოცემა (1885), უფრო ვრცელი და ტექნიკურადაც კარგად გაფორმებული, 9 შაური ღირს.

მართალია, დრო გადიოდა, კულტურა, რაც უნდა ყოფილიყო, მაინც აღმაღლობას განიცდიდა, 60-იან წლებში შედგენილი სახელმძღვანელო 80-იანი წლების მოთხოვნას ყოველმხრივ ვერ დააკმაყოფილებდა, მაგრამ გოგებაშვილიც ხომ აშ დროს კვალდაკვალ მისდევდა, წიგნში ახალი შესწორებები და დროის შესაფერი მასალები შექონდა და ამით ორ, მისთვის საყვარელ საქმეს აკეთებდა: გერასიმე კალანდარიშვილის ბრწყინვალე ხსოვნა თაობიდან თაობაში გადაჭიონდა და ქართველ მოსწავ-

<sup>1</sup> I გამოცა 1866 წელს, II—1868 წელს, III—1869, IV—1871, V—1872, VI—1879, VII—1883, VIII და უკანასკნელი—1885.—ხ. გ.

ლექტს რუსული ენის მეთოდურად გამართულ სახელმძღვანელოს აწვდიდა.

თუ რამდენად მწირი იყო იმ პერიოდში ნიადაგი სახალხო განათლებისა, რამდენად ძვირი, ან სრულებით არ იპოვებოდა რუსული ენის შესასწავლი წიგნი, ხოლო რამდენად ღიღი წყურვილი და სურვილი სუფევდა ამ მხრივ, აშის საბუთად გამოდგება გაზეთ „ლროების“ (1874 წ. № 433) ის კორესპონდენცია სოფელ სკანდელან, საცა ნათქვაშია, რომ „განსვენებულის გ. კალანდარიშვილის სახელმძღვანელო წიგნი, ვიცი 200-მდე კაცი, რომ უნდათ, მაგრამ შოვნა კი ძნელია. თუ არ არის ზაბეჭდილი იკისროს ვინმებ იმის დაბეჭდვა და გამაცემა“<sup>1</sup>.

ეს „მაკისრეპელი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ი. გოგებაშვილი აღმოჩნდა, და ისიც სისტემატურად ბეჭდავდა ამ წიგნს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებამდე ყოფილა ხმარებაში, ე. ი. ვიზრე შართლაც არ დავველდა და სპეირო არ გახდა ახლის შეღენა. ეს ახალი იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ იყო, რომელიც ნაწილობრივ გ. კალანდარიშვილის „პირველდაწყებითი კურსიდან“ გამომდინარეობდა, ხოლო ორივე—რუსეთის გამოჩენილი პედაგოგის კ. ლ. უშინსკის პედაგოგიური მოძღვრების ერთ-ერთ ძირითად დებულებიდან დედაენაზე სწავლების შესახებ.<sup>1</sup>

ამის დასასაბუთებლად თავს ვალდებულად ვრაცხა მკითხველს წარვუდგინოთ ამ წიგნის მოკლე ანოტაცია, მის შესახებ დღემდე არსებული ფაქტიური მასალა და

<sup>1</sup> ახ. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანა, ტ. II, გვ. 257.

მისთვის შესაფერად დამახასიათებელი რამდენიმე ამონაწერიც. მაგრამ სახელმძღვანელოს საერთო დახასიათების გასაცნობად პირველად ისევ გოგებაშვილს დაუკავშიროთ სიტყვა, მით უმეტეს, როცა ეს სიტყვა კალანდარიშვილის დახასიათებაც იქნება. იგი ამ წიგნის მექქვე გამოცემის (1879) განვითარებითი ბარათში აღნიშნავს: „Настоящее руководство есть труд опытного педагога, в течение почти пятнадцати лет стоявшего во-главе обширного учебного заведения, лично занимавшегося в нем преподавателем русского языка.

Поэтому оно не могло не отличиться капитальными достоинствами. Достоинства эти в свое время были по справедливости оценены в местном официальном органе лицем, вполне компетентным, превосходным специалистом по преподаванию русского языка, автором замечательной русской грамматики по генетическому методу...“ და ა. ვ.

თავდაპირველად აღნიშნულ სახელმძღვანელოს არ ჰქონია საანბანო ნაწილი („ბუკვარ“), რაც მთავარ უხერხულობას ჰქონისა იმ მხრივ, რომ გასწავლებელს თვითონვე უხდებოდა მისი შედეგენა—დახატვა თუ დახაზვა დაფაზე. რუსული ენის კითხვის მექანიზმს გაუცნობელი ბავშვები პირველი გაკვეთილიდანვე უნდა შეღორმოდნენ ენის შესწავლასა და კითხვას.

ამგვარად, ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო ორი სიძნელის გადალახვა—კითხვის მექანიზმის ჩვევისა და რუსული მეტყველების სპეციფიკურობის ათვისება. სახელმძღვანელოს ამ გამოცემაში ეს დაბრკოლე-

ბანი აცილებულია. ი. გოგებაშვილს სახელმძღვანელო—  
სათვის წარუმძღვარებია სინთეზურ მეთოდზე აგებული  
საანბანო განყოფილება. (ახ. აქვე გვ. 51).

ამ წიგნით მეცადინეობას, ე. ი. რუსული ენის სწავლე—  
ბის დაწყებას ი. გოგებაშვილი (ჩედაქტორი) ურჩევს:  
მასწავლებლებს შპს შემდეგ, როცა ბავშვებს საქმაოდ  
დაუფლებული ექნებათ შშობლიური ენის წერა-კითხვა  
და გრამატიკის ზოგიერთი ელემენტები; ამას ითხოვს  
თვითონ სახელმძღვანელოს საკითხავი განყოფილება,  
რომელიც აგებულია შედარებით მეთოდზე.

ყველაფერი ეს შეფარდებულია იმ გარემოებისადმი,  
რომ რუსული ენის სწავლება სახალხო სკოლებში იწყე—  
ბოდეს სწავლების მესამე წლიდან და მთელი სახელმძ—  
ღვანელო საერთოდ—სწავლების მესამე და მეოთხე და  
რუსული ენის სწავლების პირველსა და შეორე წელს  
უნდა იქნას მთლიანად ათვისებული. ამის შემდეგ ი. გო—  
გებაშვილის პირადი რჩევაა ბავშვებს მიეცეს უშინისკის  
„Родное слово“, რომელიც შედგენილია с истинно-  
гениальным искусством, полно теплоты света, жизни,  
интереса, далеко превосходит все другие  
в том же роде книги и остается пока незамени-  
мою...”<sup>1</sup>

სახელმძღვანელოში მოცემული დიდაქტიკური მასა—  
ლა განლაგებულია სწავლების ძირითადი წესების მი—  
ხედვით—ადვილიდან ძნელზე, ვახლობლიდან შორეულ—  
ზე, მარტივიდან რთულზე. საანბანო პერიოდს მოსდეჭს  
განყოფილება პირველი სავარჯიშოებით: ლექსიკონით,  
მარტივი ფრაზებით, წინადადებებით და მოთხრობებით.

<sup>1</sup> ახ. აღნიშნული მე-6 გამ. წინასიტყვა.

ჰომელიც სულ 13 პარაგრაფს შეიცავს და განმარტებულია ქართულ ენაზე.

მომდევნო განყოფილება 14-დან 52 პარაგრაფაშიც გვ. 21-128) გაცილებით უფრო ფართოა, ვრცელი, საკითხავი მასალებისა და გრამატიკული სავარჯიშოების შემცველი, რომელიც გამართულია შედარებითი მეთოდის მიხედვით. ამის შემდეგი განყოფილებაა ქრესტომათია (129-148 გვ.), საღაც წარმოდგენილია ცოცხალი წიმუშები პროზისა, პოეზიისა; აქვე ცალკეა გამოყოფილი ანდაზებისა და გამოცანების კუთხეც (149-154 გვ.) და, ბოლოს, ვრცელი ლექსიკონი (155-196 გვ.), საღაც ახსილია ქართულ ენაზე ყველა ის სიტყვა, რომელიც კი ამ წიგნშია ხმარებული.

აღსანიშნავია, რომ ეს გაშიცემა ტექნიკურად მეტად ლამაზად და გემოვნებით არის გაფორმებული. ყოველი განყოფილებისა და კუთხისათვის შერჩეულია ნამდვილად შესაბამისი და საბავშვო წიგნისათვის შეფერებული შრიფტი, ხოლო კორექტურული შეცდომები, რომელთა სიუხვე იმ პერიოდის გამოცემებს ახასიათებს, ამ წიგნში მინიმუმამდეა დაყვანილი და ისიც გასწორებაშია გადმოტანილი (197 გვ.). სახელმძღვანელოს ამ გამოცემას არავითარი ილუსტრაცია არა აქვა.

ხაზუასასმელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული საჭელმძღვანელო მხოლოდ საკოლო ასაკის ბავშვთათვის როდია შედგენილი. მასში, უთუოდ ნიჭიერად და მოხერხებულად, გაერთიანებულია ორი მიზანი—წიგნი გამოდგეს სკოლაში სახელმძღვანელოდ და მოზრდილთათვისაც, თუ გნებავთ იმავე მოსწავლე ბავშვის მშობელთათვისაც, რომელთაც ჩუსული ენის შესწავლის დიდი

НАЧАЛЬНЫЙ КУРСЪ  
РУССКОГО ПОЛЯКА ДЛЯ ГРУЗИНЪ

СОСТАВЛЕНІЕ А. А. ЧЕХОНОВЪМЪ

СТАВРОПОЛЬСКАЯ ГИДРОГРАФИЧЕСКАЯ КОМПАНИЯ

СОСТАВЛЕНІЕ А. А. ЧЕХОНОВЪМЪ

СТАВРОПОЛЬСКАЯ ГИДРОГРАФИЧЕСКАЯ КОМПАНИЯ

ЗАБЫТОЕ СЕБАСТЬЯНОВЪ ОДЫШВИЛИ

СОСТАВЛЕНІЕ А. А. ЧЕХОНОВЪМЪ

СОСТАВЛЕНІЕ А. А. ЧЕХОНОВЪМЪ

СТАВРОПОЛЬСКАЯ ГИДРОГРАФИЧЕСКАЯ КОМПАНИЯ

СОСТАВЛЕНІЕ А. А. ЧЕХОНОВЪМЪ

ГИДРОГРАФІЧЪСКІЙ

СТАВРОПОЛЬСКАЯ ГИДРОГРАФИЧЕСКАЯ КОМПАНИЯ

1879

„სურვილი და წყურვილიცა“ პეონიათ. თვითონ ავტორიც აღნიშნავს თავის განმარტებაში, რომ წიგნი დანიშნულია იმათვესაც: ა) „ვისაც თავის-თავად პსურს შეისწავლოს სახელმწიფო (რუსული) ენა“ და ბ) „როგორც სახელმძღვანელო სკოლებისათვის“.

ავტორის ამგვარი მოსაზრება და მისი პრაქტიკულად გატარება; ყოველ შემთხვევაში იმ პერიოდში მაინც, გამართლებულ უნდა იქნას იმდენად, რამდენადაც ამგვარ ნაბიჯს უეჭველად პრაქტიკული შედეგი და ნაყოფი. ორი მიზანი ავტორისა — „სახელმწიფო ენის (რუსულის) წესიერად“ დაყენება სკოლებში და ამენის სწავლების გავრცელება მოზრდილთა შორის, — ერთ წერტილში იყრიდა თავს. განათლებულმა და დაკვირვებულმა ავტორმა დროის, პირობების, საშუალებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, თავის თანამედროვე საზოგადოებას დიდად მნიშვნელოვანი და პრაქტიკულად სასარგებლო წიგნი მისცა, რომლითაც უნდა ესარგებლათ სკოლის ასაკის შეგირდებსაც და საკვირაო სკოლის მოზრდილ მსმენელებსაც.

ემ საკვირაო სკოლის მნიშვნელობის შესახებ საინტერესოა თვით გერასიმე კალანდარიშვილის სტატია „დროებაში“;<sup>1</sup> ამ სტატიას შემდეგ თვითონ ამ სკოლის, ასე ვთქვათ, მომხმარებლებიც გამოეხმაურნენ „სასოფლო გაზეთში“, <sup>2</sup> რომლის ფურცლებზე მთლიანად მოყვანილია გ. კალანდარიშვილის სტატიის შემდეგი საგულისხმო ადგილები: „ტექნიკურ საზოგადოებაში უნდა

<sup>1</sup> „დროება“, 1870, № 12.

<sup>2</sup> „სასოფლო გაზეთი“, 1870, № 6.

ყოფილიყო ლაპარაკი იმაზე, რომ კვირაობით ხელოსნებისათვის სწავლა გაიმართოს... და აგრეთვე სასოფლო ჭელოსნური შკოლების დაწყების თაობაზე. ეს ორი საგანი დიდად შესანიშნავი საგანია, რომ ყველამ მიაქციოს ყურადღება და განსაკუთრებით მსწავლულთა საზოგადოებამ. სწავლის შესახებ ჩენწი საზოგადოების მხრით ჯეროვანი ყურადღება არა ჩანს“. და შემდეგ მოყაეს ავტორს ფაქტები, რომ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ქალაქის რომელიმე აღმინისტრაციული დაწესებულების კეთილმოწყობასა და მისი ქუჩების მოყირწყვლას, ვიდრე „სახალხო სკოლების გამართვას, ან რომელიც გამართული არიან, იმათი მდგომარეობის გაუმჯობესებასო“.

ავტორის აზრით „ტექნიკურ საზოგადოებას“ „დიდად ჰატივსაცემი“ ნაბიჯი გადაუდგამს ხალხში განათლების შესატანად საკვირაო სკოლების დაარსების სახით, რაშიაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ყოველმა ქართველმა ინტელიგენტმა და განსაკუთრებით მასწავლებლებმათ. მართალია, დიდი ენერგიის გაღება და „სიბეჯითე“ დაგჭირდება, რადგან ამგვარი განათლება და შრომას მოითხოვს, მაგრამ იგი ყველას ურჩევს, არ დაიშურონ ეს შრომა და ენერგია, გადალახონ ყველა სიძნელე და, მსგავსად რუსეთისა და სხვათა, ჩენწიაც გაჩაღდეს ეს საკვირაო სკოლებით. ავტორის აზრით, „აქ მიღებენ განათლებას აგრეთვე ის მცირებულოვანი ახალგაზრდები, რომელიც სხვადასხვა მიზეზებისა და უხევრო პირობებისა გამო სკოლისგარეთ დარჩენილანო“. მოთხოვნილება და საჭიროება სწავლისა დიდია, მაგრამ არსებული სკოლები პშ მოთხოვნილებას ოდნავ

ვერ აკმაყოფილებენ, სახელმწიფო და სასულიერო სასაწავლებლებში დანიშნულ რიცხვზე მეტის მიღება შესაძლებელი არ არის. „და, მაშასადამე, რაღვან სასწავლებლები ცოტანი არიან, საზოგადოებამ უნდა იფიქროს ამის თაობაზე, თვითონ უნდა გამართოს თავისი შეოღები“.<sup>1</sup>

ამ რა მდგომარეობას უწევდა ანგარიშს, რა პირობებსა ითვალისწინებდა, და როგორ სწყეტდა პრაქტიკულად საკითხს სახალხო განათლების ეს უანგარო მსახური სამციანი წლების საქართველოში. ეს იყო—საკოლო და სკოლისგარეშე სახმარი სახელმძღვანელოს ერთ წიგნში გაერთიანება, რაც ყოველმხრივ საგრძნობ ეკონომიას იწვევდა და წიგნის მასებში გავრცელებას ხელს შეუწყობდა, რის დადასტურებაც იყო ზემოდასახელებული სკანდელი კორესპონდენტის მოთხოვნა „დროების“ ფურცლებზე ამ წიგნის შესახებ.

1883 წელს უურნალ „ივერიაში“ (№ 2) ვინმე „ქუთათური ბორას“ მიერ მოთავსებული რეცენზია აღნიშნული წიგნის მეშვიდე გამოცემის გამო, შესაძლებელია ნაწილობრივ მართალიც იყო იმ მხრივ, რომ ამ ორი დიდი მიზნის ერთ წიგნში გაერთიანება შეუძლებელია. „ნუ თუ, მართლა, შესაძლებელია, რომ 9 წლის ყმაწვილი და 40 წლის კაცი ერთისა და იმავე წიგნით სწავლობდნენ რომელიმე ენას?“ და ავტორი დასმენდა: „ჯერ არ დაბადებულა ისეთი პედაგოგი, რომ შესაძლებიყოს ამ ორი განზრახვის შეერთებაო“. შემდეგ იგი ასახელებს ოლენდორფის მეთოდს, საიდანაც უნდა ესარგებლოს კალანდარიშვილს ამ წიგნის შედგენისას, მაგრამ უვარესობა.

„სასოფლო გაზეთა“, 1870, № 6.

მისი მცირებულოვან ბავშვთათვის ავტორს მხედველობა-ში ვერ შეიულია და აქიდან იმ შედეგს მივიღებთ, რაც ამგვარი ხერხის შესახებ რუდგარტმა სთავა: „მოწაფის გონება არა მუშაობს და ბავშვი უსათუოდ უნდა გაუგუნურდეს“... კორესპონდენტი არ უკვირდება კალანდარიშვილის წიგნის პრაქტიკულ სარგებლიანობას და არც მისს 20 წლის განმავლობაში დამსახურებას იღებს მხედ-ველობაში, რადგან ის წინასწარი განზრახვითა და ტენ-დენციით აგითარებს თავის მოსაზრებას და მოითხოვს ამ წიგნის, როგორც სახელმძღვანელოს სრულიად გაუქმებას.

იაკობ გოგებაშვილი, რომელიც არა მარტო რედაქტორობდა და სცემდა ამ წიგნს, არამედ თეორიულადაც იცავდა მას, უპასუხოდ არ სტოვებს ზემოაღნიშნულ რეცენზიას. მან თავის ურცელ სტატიაში „უკულმართი ნაბიჯი“, რეცენზენტს შეტაც დასაბუთებული პასუხი გასცა და ამით დაიცვა გერმანიმე კალანდარიშვილისა და მისი სახელმძღვანელოს ღირსება და დამსახურება ქართული სკოლისა და საზოგადოებრიობის წინაშე.

რადგანაც გოგებაშვილის ეს სტატია საცენზურო პირობებისა გამო მაშინ მთლიანად არ დატეჭიდილა<sup>1</sup> და ამა-

<sup>1</sup> ამ სტატიის პირველი ნაწილი 1883 წ. „ოვერიის“ № 3-ში და-იბეჭდა, მეორე ნაწილი № 4-შა უნდა მოთავსებულყო, მაგრამ ცენზურისას ას გაუშვია, რაის გამო „ივერია“ აცნადებს, რომ იგი მე-5 ნომერში დაიტეჭიდება; მაგრამ რაკი საცენზურო კომიტეტს საბოლოოდ გადაუწევებია მისი აკრძალვა, „ივერია“ კვლავ აცხა-დებს, რომ იგი მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გმირ, ვერ დაი-ბეჭდება. ამერთად გოგებაშვილის აღნიშნული სტატია დაცულია საქ. სირ. საქმ. სამინისტროს ცენტრ. არქივში—კავკასიის საცენზ. კ-ტის ფონდი 548/114, გვ. 116-135.

ვე ღროს ის ვრცელი პედაგოგიური ხასიათის სამეცნიერო ნაშრომიც არის, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი გერასიმე კალანდარიშვილის ამ სახელმძღვანელოს ღირებებათა დახასიათებანი და თვით მისი ავტორის შესახებაც მოცემულია საგულისხმო ცნობები<sup>1</sup> და მოსაზრებანი. ყაჭიროდ მიგვაჩნია აღნიშვნულ წერილიდან ჩვენი მიზნისათვის სახასიათო აღვილების რამდენადმე ფართოდ წარმოდგენა.

იაკობ გოგებაშვილი, იცავს რა იმ მეთოდს, რომელზეც აგებულია გ. კალანდარიშვილის სახელმძღვანელო, სხვათა შორის წერს: ამ რამდენიმე წლის წინათ „ერთმა გვათლებულმა ქართველმა, საუბედუროდ უდროოდ დაკარგულმა, შეადგინა შეთოდური სახელმძღვანელო რუსულის ენისა ქართველთათვის. განსვენებული — გერასიმე კალანდარიშვილი — იყო იშვიათის ნიჭის, მხნეობის და პატიოსნების კაცი, ამასთან იგი თვითონ აწავლიდა რუსულ ენას. თოთხმეტი წლის განმავლობაში სასწავლებელში, რომლის მმართველად იგი იყო დანიშნული. როგორც თეორიით, ისე პრაქტიკით, მას კარგად ჰქონდა შესწავლილი საგანი, რომლის სწავლება სწორე, ნაყოფიერ გზაზე სურდა დაეყენებინა. ამიტომ სახელმძღვანელო მისი აღმოჩნდა სისტემატურად დამტავე-

<sup>1</sup> გ. კალანდარიშვილის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ პერიოდიკული მსოლოდ შემდეგი, ორგვარი ხასიათის. მასალა მოიპოვება: I. თვით კალანდარიშვილის სტატიები, მოთავსებული გაზეთ „დროების“ 1869 წ. № 41, 1870 წ. № 12, 1871 წ. № 1, 1873 წ. № 18, 21 და 22-ში; კურნ. „მნათობის“ 1869 წ. სუქტ.-ოქტ., 1870 წ. № I და II. მასზე რამდენიმე საგულისხმო ცნობის შემცველი სტატიები მოთავსებულია: „სას. გზეთის“ 1870 წ. № 6, „დროების“ 1873 წ. № 32, 1874 წ. № 411, 433, „ივერიაში“ 1883 წ. № 2, 3, 4.



ბული და პედაგოგიურად დალაგებული. ვინც კი გულ-დადებით გაიცნობს ამ სახელმძღვანელოს. და თავის მსჯელობას სინდისტედ დაამყარებს, არ შეუძლიან არა სთქვას, რომ პედაგოგის მოთხოვნილებანი: აღვილი-დან—ძნელზე, მარტივიდან—რთულზე, ნაცნობიდან—უცნობზე, ახლოდან—შორეულზე, შეტნაკლებად არ იყოს დაცული ამ სახელმძღვანელოში“.

ამის შემდეგ გოგებაშვილი დაწვრილებით განიხილავს სახელმძღვანელოს და რეცენზენტის წინაყვალმდეგ. აღნუს-ხავს და ადასტურებს წიგნის დადებით მხარეებს. იგი აღნიშნავს, რომ „პირველი პარაგრაფები ისე არიან შედგენილნი, რომ დითქმის ყოველს წინადაღებში სიტ-ყვებსა აქვს დასაწყისი ფორმა და სახელობითს ბრუნვის გარდა ბავშვს სხვა ბრუნვა თითქმის არა ხვდება. ამ პირველს პარაგრაფებში ვერ შეხვდებით ეერც სქესურს. დაბოლოებსა, რომელიც ჩვენის ბავშვებისათვის შეაღ-გენს უცხოს, ძნელად შესათვისებელ ენის ფორმასა. სა-ხელმძღვანელოში საზოგადოდ წინ არიან მოქცეულნი ის ფორმები რუსულის ენისა, რომელიც ქართულს ენასა-ცა აქვს და მხოლოდ შემდეგში მისდევს მათ განსაკუთ-რებული ფორმები რუსულის ენისა, რომელიც უფრო ძნელნი არიან შესათვისებლად. სიტყვები და ფრაზები შეეხებიან ჯერ იმ საგნებსა, რომელიც გარს ახვევიან ბავშვება და რომელნიც უფრო ხშირად იხმარებან ლა-პარაგრაფში და საბავშვო მოთხოვნებში, შემდეგში შეგხვ-დებათ სახელები და ფრაზები შორეული საგნებისა“..., და სხვ.

რაც შეეხება გრამატიკის ელემენტებს და შისი დაძ-ლევის საკითხს, გოგებაშვილი კვლავ განაგრძობს, რომ წიგნში „არიან მოყვანილნი კლემუნტიანული ცნობანა

შხოლოდ სიტყვის ნაწილზედ, ზმნების უღვლილგბაზედ და სახელების ბრუნვაზედ, იმსთანა ცნობები, რომელნიც მიუცილებელს საჭიროებად მიაჩნიათ მოსამზადებლის კურსისათვის იმ პედაგოგებსაც კი, რომელნიც გრამატიკას ენის სწავლებაში მცირე მნიშვნელობას აძლევენ. ამასთან ყველგან, სადაც-კი საჭიროა, რუსულის ენის ფორმები შედარებულია ქართული ენის ფორმებთანო“.

სახელმძღვანელოს ქრესტომათიული ნაწილიც, გვებაშეილის აზრით, დიდი დაკვირვებით და მოხდენილობით არის შედგენილი. მასში მოქცეულია სამოცამდე პატარ-პატარა მოთხრობა, „რომელნიც ან ქართულიდან არიან ნათარუმნი, ან საზოგადოდ შინაარსი აქვს სრული-ად ადვილგასაგები ქართველი ბაგშვებისათვის“...

ბოლოს დართული რუსულ-ქართული ლექსიკონი კი „ბავშვს ონისძიებას აძლევს ყოველი უცნობი სიტყვის მნიშვნელობა მაშინვე გაიგოს და თუთიყუშივით გაუგებრად არც ერთი სიტყვა არ დაისწავლოსო“; — დასძენს გოგებაშვილი.

„ეს ღირსებანი სახელმძღვანელოსი, — განაგრძობს იგი, ერთმა პატიოსანმა რუსმა პედაგოგმა, რომელიც. თვითონ ჩინებული სპეციალისტი იყო რუსულს ენაში და რომელშაც შეადგინა მშევნიერად — პედაგოგიურად შემუშავებული რუსული გრამატიკა, ღირსეულად დააფასა, სიხარულით მიეგება მის მოვლენასა, აჩვენა მისი უპირატესობა მის გვარს წიგნებზედ (მაგალითად მარგოს<sup>1</sup> წიგნზედ) და გამოაცხადა იმედი, რომ ეს წიგნი სახელმწიფო ენის სწავლებას დაუყენებს სწორე და ნა-ყოფიერ გზაზედაო“.

<sup>1</sup> დავ. მარგო (1823-1872) ტომით შვეიცარიული, მოვლაწეობლა რუსეთში.—ხ. ც.

გოგებაშვილის ცნობით, ეს იმედი მომზადებული, წე-  
სიერად და კეთილსინდისიერად მომუშავე პედაგოგების  
შეოხებით გამართლდა. „რომელს სასწავლებელშიც ამ  
სახელმძღვანელომ მოიკიდა ფეხი, ყველგან გონივრულს  
გზაზე დააყენა რუსული ენის სწავლება“, —ამბობს იგი  
და საილუსტრაციოდ მოყაფს საქართველოს სასულიერო  
სასწავლებლების გასინჯვა 1875 წელს პეტერბურგიდან  
მოვლენილ რევიზორის მიერ, რომელიც „გაკეირდებული  
დარჩა, სხვათა შორის, რუსული ენის გონივრულის  
ცოდნით თბილისის და ქუთაისის სასულიერო სასწავ-  
ლებლებში და წაიღო პეტერბურგში მთელი რიგი მოს-  
წავლების თხზულებები, რომელნიც კლასში, მის თვალ-  
შინ იყვნენ დაწერილნი. ერთი უმთავრესთაგანი მიზეზი  
ამ წარმატებისა, — აღნიშნავს დაბეჯითებით გოგება-  
შვილი, — იყო გონივრული ხმარება მოსამზადებელს კლა-  
სებში კალანდარიშვილის სახელმძღვანელოსი, რომელ  
გარემოებასაც რევიზორმა ჯეროვანი ყურადღება მიაქ-  
ცია...“

გოგებაშვილი ხახს უსვამს იმ გარემოებას, რომ კა-  
ლანდარიშვილის წიგნს, როგორც სინთეზური მეთოდით  
შედგენილს, მეტი უპირატესობა და დადებითი შედეგე-  
ბიც აქვს ენის სწავლებისათვის. იშველიებს რა უშინს-  
კის ზა პედაგოგიკური მეცნიერების სხვა გამოჩენილ  
თეორეტიკოსებს, გოგებაშვილი დიდ უპირატესობასა და  
მნიშვნელობას აძლევს უცხო ენის სწავლების დროს ორ—  
ანალიზურ და სინთეზურ მეთოდს, იმავე დროს კვალდა-  
კვალ მისდევს აღნიშნულ სახელმძღვანელოს რეცენზენტ  
„ქუთათურ ბორას“ და ძირთესვიანად აცამტვერებს მის  
დებულებებს, ააშკარავებს მის ცალმხრივობას, ღვარძ-

ლიანობასა და ქვეგანზრახვებს—ხელი შეუწყონ ე. წ.  
მუნჯური მეთოდის გაბატონებას რუსული ენის სწავ-  
ლებაში, რასაც წინ ელობებოდა გ. კალანდარიშვი-  
ლის სინთეზური მეთოდით აგებული სახელმძღვანელო.

მუნჯური მეთოდის მესუეურნი, რომელთაც გოგება-  
შვილი „ტაშკენტელ პედაგოგებს“ ეძახდა, ამით ხელს  
უწყობდნენ კელიკოდერეულ ზრახვებს თვითშეკრი-  
ბელური რუსეთის ჩინოვნიკებისას, რომელთა საბოლოო  
მიზანი იყო ქართული ენის სიკვდილი როგორც ინო-  
როდცული და არასაჭირო ენისა. ამიტომ მათი „მესუეუ-  
რები,—აღნიშნავს გოგებაშვილი,—ნატრულობენ ქარ-  
თულ სკოლაში მასწავლებლებად იმისთანა პირთა, რო-  
მელთაც ქართული ენა სრულიად არ ესმით“:

„კალანდარიშვილის სახელმძღვანელო-კი,—წერს გო-  
გებაშვილი,—ამ მიმართულებას წინ ელობებოდა და  
ფრთას ჰკვეცდა. იგი რუსული ენის სწავლებას იმ ფეხ-  
ზედ აყენებდა, როგორზედაც უნდა დაღვეს ყოველი უც-  
ხო ენის სწავლება. იგი ითხოვდა რუსულს ენაში გარჯო-  
შობას ქართულის შემწეობით; ქართულს ტექსტს ეჭირა  
თითქმის ნახევარი წიგნი და რუსული ენის გაკვეთი-  
ლებზედაც ბავშვი გარჯოშობდა მშობლიური ენისა. და  
წიგნის შესწავლაში; რე მოითხოვდა, რომ რუსულს  
ენას, რუსულს კითხვა-წერას და რუსულს გრამატიკას  
გასძლოლოდა უთუოდ ქართული ენის, ქართული კითხვა-  
წერას და ქართული გრამატიკის ცოდნა. იგი შეუძლებ-  
ლად ხდიდა სკოლაში მასწავლებლებად ქართული ენის არ-  
შცოდნე პირსა. ერთი სიტყვით, წიგნი იყო ნამდვილი ნა-  
ყოფი ჩვენი პედაგოგისა“, —დასძემს იგი, და იმასაც კი  
გრძნობს, რომ არც ეს წიგნია სრულიად უნაკლო და

ამომშურავად გამართული ანალიზური მეთოდის შინედრით. „შესაძლებელია და დიდად სასურველიც, რომ ყკეთესი სახელმძღვანელო შესდგეს“, რომელიც კოდევ უფრო აამაღლებს რუსული ენის სწავლების დონეს და მშობლიური ენისთვისაც მეტი სარგებლობის მომტანი რენება. მაგრამ სანამ ამგვარი სახელმძღვანელო დაიმარტინებოდეს, გაკიცხა ამ ერთადერთი სახელმძღვანელოს მავნებლობა და ერის ღალატი იქნებაო.

— გოგებაშვილი არ ეთანხმება აღნიშნულბ წიგნის რეცენზენტის მშვენიერებას, რომ გრამატიკის ელემენტების შეტანა ამ ასაკის სახელმძღვანელოში ვითომ ნააღრევი და დაუძლეველი იყოს. იგი მთელი რიგი დასაბუთებული მოსაზრებებით ამტკიცებს, რომ ამ მხრივ წიგნის ავტორი სავსებით მართალია და სწორად იქცევა. ასე იქცეოდა გამოჩენილი რუსი პედაგოგი ბუნაკოვიც, — წერს გოგებაშვილი, — როცა „მეორე წლის საყითხავ წიგნში მოქცეული აქვს გრამატიკული განყოფილება“. ხოლო საქართველოში, — აღნიშნავს ჭლავ იგი, „იშისთანა განვითარებული და გამოცდილი პედაგოგი, როგორიც არის ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორი ბ. ალექსი ჭიჭინაძე, ქართული გრამატიკისა და ელემენტარულ-ცნობებს ასწავლებონებს თავის მოსწავლეებს მორე წლიდანვე“. ამასთან გოგებაშვილი იმაზეც ჭი მიუთითებს, რომ „შესაძლებელია, ზოგიერთი ცნობები რუსული გრამატიკიდან, რომელიც კალანდარიშვილის სახელმძღვანელოში მოქცეულია არიან, ძნელნი აღმოჩნდნენ შესათვალებლად... მაგრამ ამგვარი ცნობების გამოტოვება მასწავლებელს ადვილად შეუძლიან. მით უმეტეს, — შენიშნავს იგი სამართლიანად, — როგორც ეს თვით

შიგნშია მოხსენებული, გრამატიკის პარაგრაფები არიან არა მოსწავლეთა საკითხაგად, არამედ წარმოადგენენ მასალას, რომლითაც უნდა სარგებლობდეს მასწავლებელი.

საერთოდ, მასწავლებელი, სახელმძღვანელო, პროგრამები, მეთოდები და სწავლების სხვადასხვა ხერხები იმისთვის არსებობენ, რომ მოსწავლეს გადაალახვინონ ის სიძნელენი, რომელიც ყველა უცხო ენის შესწავლის ახლაցს თან. ამიტომ, გოგებაშვილის აზრით, სახელმძღვანელო წიგნისა თუ პროგრამის გაძარცვა და გალატაკება სიძნელისათვის თავის არიდების მიზნით „ისეთივე უგუნურებაა, როგორც ტყუში ფეხის ამოკევთა მგლების შიაშის გამო“:

დასასრულ, გოგებაშვილი მრავალი დასაბუთებისა და შეცნიერული არგუმენტაციის შემდეგ გულისწყრომითაც აღნიშნავს, რომ ამ უკუღმართ მუნჯურ მეთოდს დამცელნი ქართველთა შორისაც აღმოაჩნდა და რომ, მათი წყალობით, სრულიად „გამოუსადეგარს, სრულიად უცხო წიგნებს, მეხსიერებისა და გონების დამამახინჯებელს, განიერი გზა აქვთ გახსნილი ჩვენი სკოლებისაკენ და სასარგებლო წიგნისათვის-კი თითქმის სრულიად შეკრულია ეს გზა“...

გოგებაშვილი, მისთვის ჩვეული გამშედაობითა და სიმტკიცით განაცრობს რა ბრძოლას და იერიშს შეტევაზე გაღმოსული მტრის წინააღმდეგ, აშკარად აღნიშნავს, რომ „ამისთანა უსამართლო მდგომარეობის დროს, როდესაც წალმართობა შევიწროებულია და უკუღმართობა გამარჯვებული, გამოვიდა ვინმე ჩვენგანი და ხმა აღიმაღლა გ. კალანდარიშვილის სახელმძღვანელოზედ,

რომლის გაკიცხვისათვის და მისი ეითომ მავნებლობის დამტკიცებისათვის არ ითავილა არც ჭირი, არც ცილის-წამება წიგნზედ და არც გადასხვაფერება ზოგიერთი პე-დაგოგის აზრთა ნაწყვეტებისა“...

„რამ აიძულა მისი დამტერი? — კითხულობს გოგება-შეილი, — და ოგითონვე უპასუხებს: — ჩვენ ვხსნით მის უკუღმართ ნაბიჯს მხოლოდ უმეტებით, რომელიც ცხვირს იქით არასა ხედავს“.

გოგებაშვილს ამ „ქუთათურობა-შიც ეჭვი შეაჭვს, ადარებს მას ოთოთაანთ ქორს და ასკ-ვნის, რომ ისიც თბილელია, მაგრამ არა ბორა, არამედ კირკიტა, რომელიც აგრეთვე ფრინველია, მაგრამ პატა-რა; თუ ქუთათურობა დაიჩემა, ეს იმიტომ, რომ „იმას სურდა ეჩვენებინა ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ ვი-თომ „ქუთათური ბორა“ ბანს აძლევს ლიხის მთის იქი-დგან იმ თბილელ კირკიტას, რომელიც ერთი კანცელა-რის ლოცვა-კურთხევით და დარიგებით აღგენს რუ-სული-ენის სახელმძღვანელოს და რომელიც ცდილობს კალანდარიშვილის წიგნის კიცხვით გზა გაუკვლიოს თა-ვის ტაშკენტურ პედაგოგის ნაყოფას“.<sup>1</sup>

გოგებაშვილი გულისტკიიტილით აღნიშანვს იმ გარემო-ებასაც, რომ მოწინააღმდეგეთა და გადამზირებელთა ბა-ნაკში სრული ერთიანობაა და ჩვენ კი ბორას მსგავსნი გვყვანან, რომელნიც კალანდარიშვილის სასაჩიგებლო წიგნის სკოლიდან გაძევებასა და ენის სწავლებაში უწინ-ნოდ მეცადინეობასა რჩეობენ. გოგებაშვილი სასტი-

<sup>1</sup> ა. მხრივ სანქტერესოა ი. გოგებაშვილის წერილი ლევაციას წინააღმდეგ: იხ. ტ. II, გვ. 256 — „თავგასულობა დირექტორისა“, სადაც ბევრი რჩე არის „საგულისხმო და მხასახველრი ამ საკითხის გარშემო.

კად ილაშქრებს ენის სწავლებაში ამ უწიგნოდ მეცაღი-  
ნების მეთოდის წინააღმდეგ და სტატიის დასკვნაში  
სრულიად ობიექტურად და მიუდგომლად აღნიშნავს:

„კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს აქვს არა ერთი  
ნაკლოვანება, მაგრამ მაინც გამოსადევი და სასარგებლო  
წიგნია, როგორც რუსულის ენის შესწავლისათვის, ისე  
დედა-ენისათვის, მხოლოდ მიუკილებლად საჭიროა,  
რომ მასწავლებელი სინდისიერად ეპყრობოდეს თავის  
თანამდებობას, ყოველი გაკვეთილსათვის ეშზადებოდეს,  
ცოცხალი სიტყვით შეათვისებინებდეს ბავშვებს ყოვე-  
ლი პარაგრაფის შინაარსსა და წიგნსა ხმარობდეს მაშე-  
ლებელ ღონისძიებათა, გასამეორებლად და კითხვაში  
სავარჯიშოდ“.

ამგვარი იყო გ. კალანდარიშვილისა და ი. გოგებაშვი-  
ლის ურთიერთობა და საერთოდ, მათი დამოკიდებულე-  
ბა სახალხო განათლებისადმი საქართველოში, რომლის  
იმერ და ამიერ პროვინციების კულტურულად და სუ-  
ლიერად სრული გამოთლიანებისაკენ სწრაფვა უკვე რე-  
ლიეფურად ჩანდა, რაც თვითმპყრობელობისა და მისი  
ყოველი ჯურის დამქაშებისათვის იმდენად შესამჩნევი  
და საფრთხობელაც იყო, რომ გერასიმე კალანდარიშვი-  
ლის უდროო გარდაცვალებით გამხიარულებულ ეპლე-  
სის ერთ-ერთ ბობოლას—ექსარხოსს თავი ვერ შეუკა-  
უებია და 1874 წ. 22 მარტს კმაყოფილებით აღუნიშნავს  
კალანდარიშვილის „ქუთაისში ჩაკვდომა“ და თბილისში  
გოგებაშვილის ავადმყოფობა.<sup>1</sup>

მაგრამ გოგებაშვილი არც თვითმპყრობელობის ამ  
შავი, თუ კიდევ სხვა ფერის, აგენტების დევნას და არც  
საყვარელი მეგობრისა და თანამებრძოლის უდროო სიკვ-

<sup>1</sup> ზუგდიდის ისტ-ეთნ. მუზეუმი, -იონა მეუნარგიას დღიურები.

დილს შეუშინებია, თუმცა ის ამ დიდმნიშვნელოვან  
სახალხო საქმეში ეგზომ საიმედო გ. კალანდარიშვილის  
ამ უფაშო მოწყვეტას გულში სამუდამო ბოლმად ატარებ-  
და. იგი ამ ადრინდელ ბოლმასაც იქარვებდა, როცა რუ-  
სეთის გამოჩენილი პედაგოგის ნ. ა. კორტის (1834-1883)  
უდროოდ გარდაცვალების გამო რუსეთის მოწინავე სა-  
ზოგადოების გასაგონად ამბობდა: „პუშკინები, ლერმონ-  
ტოვები, ბელინსკები, გოგოლები, რობროლიუბოვები,  
უშინკები, კორსები სიყმეწვილეშივე იხოცებიან და კა-  
ტკოვები, ლეონტიევები, პოტედონოსცევები, სუვორინე-  
ბი, მეშჩერსკები და სხვა ბნელეთის მოციქულები მათუ-  
სალას უაშს ცოცხლობენ და ყველას თავს აბეზრებენ“.

გ. კალანდარიშვილის ეს ხანმოკლე ღვაწლი ერთგვარი  
საწყისია ქართული პედაგოგიური აზროვნების იმ თვალ-  
საჩინო მაგისტრალისა, რომელიც მტკიცედ იაკობ გოგე-  
ბაშვილმა გაავლი. მცდარად არ უნდა ჩაითვალოს ზემო-  
ალნიშნული მედლიურის აზრიც, რომ „გოგებაშვილი  
გ. კალანდარიშვილის მეორე ეგზემპლიარი, ჰქვიანი, პა-  
ტიოსანი მუშაკი და საზოგადოებისათვის დიდად მზრუ-  
ნავი იყო“.

### ▼

საზოგადოებისათვის ზრუნვა გ. კალანდარიშვილის  
ერთად-ერთი სამოქმედო ასპარეზი იყო. იგი სიტყვითა  
და საქმით ემსახურებოდა სახალხო განათლების დიად  
საქმეს, მედგარი დამცველი იყო სწავლისა, სწავლებისა,  
სასწავლებლისა და მასწავლებელთა. ამ მხრივ მას საკუ-  
თარი კონცეფცია, გზა და თეორიული ძალაც გააჩნდა  
მის თვალშინ მიმღირნარე ზოგიერთი მოელენის გავებისა  
და სწორი ახსნისათვის.

როცა „შორაპნელმა ბლალოჩინმა“<sup>1</sup> თავის სტატიაში<sup>2</sup> უმართებულოდ გააკრიტიკა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და ზოგიერთი ბრალდებაც კი წაუყენა მას-წავლებლებს, გ. კალანდარიშვილმა მას ფრიად დასაბუთებული და მიუღებელი პასუხი გასცა, სადაც ამხილა ავტორის ულოგიკობა, ცილისმწამებლური გამოსვლა, დემაგოგია და კონსერვატიზმი“.<sup>3</sup>

გ. კალანდარიშვილის ეს წერილები გამართულია კო-თილისინდისიერი, წესიერი, საქმიანი და საბუთიანი პოლემიკის ტონით. ამ წერილებში ავტორს რიგი საკუთარი შეხედულებანი და მოსაზრებანი აქვს გამოთქმული სწავლა-აღზრდაზე და სახალხო განათლებაზე. მათი ნიმუშები, რაკი ისინი საქმაოდ მოყვანილია თავისი აღგილას, აქ არ დაგვჭირდება. აქ მხოლოდ კალანდარიშვილის პოლემიკურ და პუბლიცისტურ სტილზე თუ გავამახვილებთ მცირე წნით მცითხველის ყურადღებას.

ერთ-ერთ პილემიკურ სტატიაში „შ. ბ.“—თან, კალანდარიშვილი დასკვნაში წერს: „სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ კმარა. რაც ზევით ვთქვი, ისიც საქმაოდ უჩვენებს, რა ხასიათი და ღირსება აქეს შ. ბ. მოქმედებას და კორესპონდენციებს, რამდენად დასაჯერია, რა-საც იგი წერს.“

„რასაკვირველია, — განაგრძობს იქვე ავტორი, — რაც უნდა ილაპარაკოს შ. ბ., როგორც უნდა იმოქმედოს, საქმეს იმით ვნება არ მიეცემა; სამწავლებელს ექნება ყველაფური, რასაც ის საჭიროებს: მას ექნება თავისი სა-ავალმყოფო, გიმნასტიკა და ეყოლება ზედამხედველებიც.“

<sup>1</sup> ფსევდონიმი დეკ. დავ. ღამბაშიძის.

<sup>2</sup> „მნათობი“, 1869 წ. სექტ.-ოქტ.

<sup>3</sup> „ღრმება“, 1869. № 41.

ომედია, ადრე თუ გვიან სამლელოებაც იზრუნებს გა-  
რეშისწავლებისათვის სახლის აშენებაზე და საზოგა-  
დოდ მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სამლელოე-  
ლოებაში არიან და გამოჩნდებიან იმისთანა პირები, რო-  
მელთაც. შ. ბ-ზე უფრო აქვთ გაგებაც და თანაგრძნო-  
ბაც საზოგადო საჭირო და სასარგებლო საქმეებისა და  
ისინი არა თუ რაიმე კერძო, პირადი ანგარების გამო, არ  
დაერიდებიან სამლელოებაში სიმართლის თქმას ასეთ  
აუცილებელს საჭიროებაზე, როგორიც არის საერთო  
სახლის აშენება მოსწავლეებისათვის, არამედ ეცდებიან  
თავს იდვან, რომ- ეს საქმე სისრულეში მოიყანონ“.  
„Беда коль пироги начнет печи **сапожник**, а  
сапоги тачать **пирожник**“, <sup>1</sup>—დასძენს ავტორი.

ეს პოლემიკა, რომელიც თითქმის პრინციპული იყო  
და სამი წელი გრძელდებოდა, თანდათან ზრდიდა გ. ე-  
ლანდარიშვილის ავტორიტეტს, თანამგრძნობთ უხვეჭდა  
მის გეგმებსა და პრაქტიკულ საქმიანობას სახალხო გა-  
ნათლებისა და საერთოდ პედაგოგიურ სფეროში, რო-  
გორც ახალი აღზრდის პრინციპების დამცველისა და შე-  
საძლებლობის ფარგლებში მათი ცხოვრებაში გამტარებ-  
ლისას. სასწავლებელი, რომელშიც მას უხდებოდა მოლ-  
ვაწეობა, თავისი ბუნებით უფრო ქონსერვატული და მო-  
წინააღმდეგე უნდა ყოფილიყო ყოველგვარი ახალი რე-  
ფორმისა, რომელიც კი ხელს უწყობდა სასწავლებლის  
კედლებში მეცნიერების სხივთა ფართოდ შეჭრას.

ამიტომ ბუნებრივია გერასიმე კალანდარიშვილის რე-  
ფორმისტული და ნოვატორული მოქმედების წინააღმდეგ  
ისეთი დიდი და საჭმალდ ცნობილი კლერიკალის გალაშ-

<sup>1</sup> „ღროვება“, 1873, № 22.

ქრება, როგორიც „შორაპნელი ბლალოჩინი“ იყო შემდეგ. იგი როგორც პრესაში, ისე ყოველ შეკრებაზე და ფართო ყრილობებზეც პრინციპულად გამოიღიოდა გ. კალანდა-რიშვილის ყოველი ახალი წამოწყების წინააღმდეგ, იმ იმედით, რომ სამღვდელოება და საზოგადოებაც მას მხარს დაუჭერდა. მაგრამ ყნოსუა მისი ხშირად არ მართლდებოდა, რაღან ახალ სიოს მეტი საამური და მიმზიდველი სურნელება შეჰქმნდა როგორც საერო, ისე საეკლესიო საზოგადოებაში და ჩეენი პოლეშისტიც ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა კალანდარი-შვილისა და საზოგადოების პირისპირ.

კალანდარიშვილი უპასუხოდ არ სტოვებდა „შ. ბ.“ არც ერთ სტატიასა და რომელიმე კრების საანგარიშო წერილსაც კი, თუ ის მიმართული იყო სასწავლებლისა და მისი ზედამხედველის; ან მასწავლებელთა და სწავლა-აღწრდის რომელიმე მხარის წინააღმდეგ; არც იმ შემთხვევაში, თუ მისი მცჯელობა დემაგოგიურად წარმართებოდა ვისშესთვის ჩრდილის მისაყენებლად. ერთ-ერთი კრების ანგარიშში შ. ბ. ალნიშნავს, რომ „ბლალოჩინების კენჭით არჩევა იმერეთში არ ივარგებს, რაღან ნასწავლი კაცები ცოტანი არიან; მერე კიდევ იმერეთის სალხი სხვანაირი აზრისა არის, მრუდედმსჯელები და პირმოთნეები უფრო უყვართ და იმათ აირჩევენი“. <sup>1</sup>

„ახლა ხომ მიხვდით, მკითხველო, — უპასუხებს კალანდარიშვილი, — რისთვის არის საჭირო განსაკუთრებით გამბედაბა და სიშხნე? აგრეთვე ხომ გაიგეთ, რა ანგარიშით უშოვნის შ. ბ. სამღვდელოებას დიდებას. მაშა-

<sup>1</sup> „მნათობი“, 1869 წ., სეზ.-ოქტ.

სადამე,—მიმართავს იგი შ. ბ-ს,—ეისაც ბლალოჩინობა ან სხვა ამორჩევითი თანამდებობა სურს სამღვდელოფბა-ში, უნდა ეცადოს მრუდე მსჯელობას და პირმოთნეობას, თორემ ცარიელი დარჩება, ბლალოჩინად არ ამოიჩევენ. რა ჰქენან გაშინ იმ კაცებმა, რომელთაც არა თუ თასამდებობა, თვითონ ეს სახელი ისე შეჰყვარებიათ, რომ თავის საკუთარ სახელად გაუხდიათ? „... შემდეგ, კვლავ მიმართავს რა შ. ბ-ს, ეუბნება: „თქვენ სცდებით, როდესაც ამბობთ, რომ იმერლებს მრუდე-მსჯელები უფრო უყვართო. ის, რასაც თქვენ მარტო იმერლებს მიაწერთ, ყველა განათლებული ხალხის თვისებაა... მეტე—თის უსწავლელ ან მცირე ნასწავლ მღვდელთ შორის ურევიან იმისთანაები, რომელნიც თავისი ბუნებითი ჭკუთ და პატიოსნებით ბევრად სჯობიან ზოგიერთ კვა-ზი-სწავლულ მღვდლებს. ამიტომ სამღვდელოებამ რომ ბლალოჩინების ამორჩევის დროს პირველებს უპირატე-სობა მისცენ უკანასკნელზე—ეს არც გასაკვირველი იქ-ნება და არც საწყენი...“<sup>1</sup>

მაგრამ ყველაზე უფრო მტკიცანი აღგილი მისთვის სასწავლებელი იყო, საღაც გაბატონებული იყო სქოლას-ტია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ეროვნული ჩაგრაც ემატებოდა, ორივე ეს კი ამ სკოლას საფრთხობელად ხდიდა ყოველი ქართველი მოზარდისათვის. თუ დავით გურამიშვილის პერიოდში „სწავლის შხოლოდ ძირი იყო მწარე“, ახლა იგი მთელ თავის მანძილზე იშ-ხაშებოდა.

სამოციანი წლების ისეთი მოწინავე ქართველი უურნა-ლისტი, როგორიც იყო სერგეი მესხი, —ეს გამომთავაზრი

<sup>2</sup> „დროება“, 1870, № 1.

ევროპული ყაიდის პირველი ქართული გაზეთისა და თვითონაც ევროპაში განათლებული, თავის გაზეთს „დროებაში“ ჩვენი სკოლების შესახებ წერდა: „შეიყვანებენ თუ არა ყმაშვილს რომელსამე სასწავლებელში, იმწამსვე იმას აძლევენ ხელში ისეთ წიგნს, რომელიც სრულიად არ გაეგება; აზეპირებენ ლოცვებს, ლექსებს და სხვა რამებს ისეთ ენაზე, რომლისაც იმას ინჩიც არ ესმის; ყველა საგანს—წერა-კითხვას, სამღვთო წერილს, არითმეტიკას და სხვას ამავე უცხო ენაზე ასწავლიან. შემდეგ ჩის გაი-ვაგლახითა და წვალებით ის გადადას მეორე, მესამე და მეოთხე კლასში. გაადვილების მაგივრად ყმაშვილს თანდათან უჭირს სწავლა, რადგან საგნები ემატება და ის ენა, რომელზედაც ამ საგნებს უხსნიან, ჯერ კიდევ არ ესმით რიგიანად. ამნაირად წვალობს საწყალი შეგირდი, ხანდახან დღე და ღამე აკვდება საზეპირო გაქვეთილის სწავლას, მაგრამ, ცხადია, მაინც ძლიერ იშვიათად ისწავლის იმათხავით, რომლებიც აშე საგნებს თავის მშობლიურ ენაზე სწავლობენ. ამგვარად, სამი-ოთხი წლის შემდეგ ის და მისი დედ-მამა რწმუნდებიან, რომ ყმაშვილი უნიჭო არის და ან თავს ნებით გამოდის, ან ძალით დაითხოვენ სასწავლებლიდან უნიჭობისათვის“.<sup>1</sup>

სწორედ ამ გაძატონებული უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლი ახალგაზრდა პედაგოგი გ. კალანდარი-შვილი ყველაზე უფრო მგრძნობიარებას, ტემპერაშენტ-სა და სიმკაცრეს პოლემიკის ამ სფეროში იჩენს თავს მოწინააღმდეგესთან.

<sup>1</sup> ნაწერები სერგეი მესხისა, გვ. 88.

„თქვენ არასოდეს არ ყოფილხართ ჩვენი სასწავლებლის კლასებში,—მიმართავს ის შ. ბ-ს,—რომ ყური გეგლოთ და შეზედვინათ აზრი იმაზე, რა ღირსებაც და რა ნაკლულოვანება აქვს მათი სწავლის მეთოდს. შევვაძლოთ, რომ თქვენ ეს გაგესინჯათ თუ არა—ეს სხვა საქმეა...“ და არამდენიმე ფაქტის დასახელებისა და ლოგიკური მსჯელობის შემდეგ ის კვლავ მიმართავს მოწინააღმდეგს, რომელსაც კატეგორიულად ეუბნება:

1. თქვენ უნდა დალაგებით, გარკვევით წარმოსთქვათ და დაამტკიცოთ, რომელი მასწავლებელი რით არ ვარგა და არ არის თავისი თანამდებობის ღირსი;

2. თქვენ რომ აცხადებთ: როდესაც მოსწავლეების მამები მასწავლებლებთან მიღიან და ჰქითხავენ — რატომ ჩვენი შვილები არ სწავლობენო, ისინი პასუხად ეუბნებიანო—თქვენს შვილებს გულისყრი არა აქვსთო, თქვენ უნდა დაამტკიცოთ რომელი მასწავლებლები იქციან ასე;

3. თქვენ უნდა განსაზღვრებით გამოაცხადოთ და დაამტკიცოთ, რაში შეამჩნიეთ სასწავლებლის მთავრობის მოუმჭირნეობა”...

„ვათავებ ჩემს პასუხს ჰეინეს სიტყუებით: „ყველა კაცს აქვს უფლება როგორიც უნდა ხეპრე იყოს, მაგრამ იმის ნება კი არა აქვს, ეს უფლება ბოროტად მოიხმაროს“. <sup>1</sup>

ამ ურცელ სტატიაში კალანდარიშვილი ძირფესვიანად აბათილებს შ. ბ.-ის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და ბრალდებებს. ამგვარად წამოსროლილ ფრაზებს დამტკიცება უნდაო, ეუბნება ის ოპონენტს და კატეგორიულად უყენებს კითხვებს. ამ მცირე ამონაწერებით საკ-

<sup>1</sup> „გნათობა“, 1871, № 1.

შაოდ იგრძნობა სტილი და საერთო განწყობილება  
დ. კალანდარიშვილის პუბლიცისტიყისა, რომელიც მუ-  
დამ სკოლისა და სახალხო განათლების საკითხებს დასტ-  
რიალებდა. ეს გზა შემდეგ იყო გოგებაშვილმა განავრ-  
ძო და გააკრცელა ჩენში, და გერასიმე კალანდარიშვი-  
ლის სახელის უკვდავყოფასაც მან შეუწყო ხელი იმით,  
რომ იგი მთელი ორი ათეული წლების მანძილზე პატრო-  
ნობდა, რედაქტორობდა და სისტემატურად სცემდა უდ-  
რიოდ გარდაცვლილი ავტორი-მეგობრის ზემოდასახე-  
ლებულ სახელმძღვანელოს.

ქართული სახალხო განათლების ისტორია არ დაივიშ-  
უებს სახელს გერასიმე კალანდარიშვილისას, რომელსაც  
თამამად შეეძლო უშინსკისებურად ეთქვა: „რაც შეიძ-  
ლება მეტი სარგებლობა შოვუტანო ჩემს სამშობლოს—  
აი, ერთადერთი მიზანი ჩემი ცხოვრებისა“.

ნედაქტო 3. 55200

Соломон Цаишвили

ГЕРАСИМ КАЛАНДАРИШВИЛИ

(монография на грузинском языке)

Изд. газ. „Сахалхо ганатлеба“

19 Тбилиси 47 г.

8960 & 896.

16/50 25740

334/23